

968



3

1968



+

თავისუფლება

დასაბუთებელი

საქართველო



საქართველოს თეატრალური საზოგადოების

მოამბე

№ 3 (45)

19 თბილისი 68



რედაქტორი — ვარვინა მარალიშვილი

სარედაქციო კოლეგია: დ. ანთაძე, ვ. გოძიაშვილი, ო. ვეაძე,
ნ. გურაბანიძე, დ. მჭედლიძე, ბ. ჟღენტრ,
ნ. შვანგირაძე, გ. ციციშვილი, ა. ხორავა,
დ. ჯანელიძე.

ახალი თეატრალური წელი

ვასილ კიკნაძე

თეატრში ახალი სეზონის დაწყება ახალი წლის გათენებას უნდა ჰგავდეს. უნდა იყოს დიდი ზვიმი, დიდი სიხარული და აღმაფრენა. ახალ სეზონს ზომ ახალი იმედები მოსდევს, თეატრიც ამ იმედით ცხოვრობს და იღწვის. ბევრის ოცნებას ფრთები ესმება — სცენაზე იზადება ახალი სპექტაკლი, ახალი სახე, მაგრამ რჩება აუხდენელი ოცნებანიც. ყველას როდი გაუღიმებს ბედი, ყველას როდი ეწვევა შემოქმედებითი სიხარული. და აი, ამგვარი ადამიანებიც სიხარულით ელიან ახალ სეზონს, რადგან სვებრა, რომ ეს ახალი წელი მაინც მოუტანს გამარჯვებას. ასე რომ, თეატრალური სეზონის დაწყება ყველასათვის დღესასწაულია. ეს არის დიდი აღლუმი და თუ ზოგჯერ ასე არ ხდება, ეს იმას ნიშნავს, რომ თეატრს გასჩენია ეროვნა.

მაგრამ ახლა ჩვენ უფრო მეტი იმედით ვუყურებთ ახალი სეზონის დაწყებას. სამისოდ არის ერთგვარი საფუძველიც. იგი წარმოადგება არა მარტო გასული წლის საუკეთესო სპექტაკლებისაგან, არამედ წარუმატებლობისაგანაც. ნიჭიერი ხელოვანისათვის მარტოც კი ახალი წარმატების საწინდარია.

გასული წელი დამაბლუი თეატრალური წელი იყო. რეკლუციის წმ წლისათვის მიეძღვნა მრავალი სიანტერესო სპექტაკლი. ასე მაგალითად: ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიისმა თეატრმა საიუბილეო დღეებში დადგა ო. თაქთაქიშვილის ოპერა „სამი ნოველა“. ახალი წარმოდგენებით შესვდა ოუბილეს ვ. აბაშიძის სახ. მუსიკალური კომედიის თეატრიც.

რეკლუციის წმ წლისათვის უძველეს თავიანთი საუკეთესო სპექტაკლები რესპუბლიკის თეატრებმა ოუბილეს მიეძღვნა „სიმღერა შვედრენზე“, „გვილი ბიგვა“ და „მისი უღიგებულებობა“ რუსთაველის თეატრში. მარჯანიშვილის თეატრმა წარმოადგინა „წმინდანები ჯოჯოხეთში“, რომელმაც საკავშირო პრემიაც დაიმსახურა. ქუთაისის თეატრმა აადაგინა ს. ასმეტელის სპექტაკლი „ანწორი“, ბათუმის თეატრის სცენაზე დაიდგა „ზღვა და სიყვარული“, „წმინდანები ჯოჯოხეთში“, სოხუმის თეატრში „ძია მიშა“ და „წმინდანები ჯოჯოხეთში“, ხოლო აფხაზურ დასში — გუპტინის „მწიკს ჩაისლის წინ“. გორის თეატრმა დადგა პოპოვის „ოჯახი“ და ვ. ნახუტჩიშვილის „შუქი მიწიდან“. ნაყოფიერად იმუშავეს ჭიათურის, მხარაპიას, ზუგდიდის, თელავის და ფოთის თეატრებმაც. სანტერესო საიუბილეო წარმოდგენები დადგეს მოზარდმწერებელთა თეატრებმა. ახალი სპექტაკლებით შესვდნენ ოუბილეს გრიბოედოვის, სომხური დრამის და თოქინების თეატრები.

ახე რომ გასულ წელს გარკვეული მუშაობა ჩაატარეს რესპუბლიკის თეატრებმა.

1967 წელს ქართულ თეატრს შეემატა ორი ახალი თეატრი, — საქართველოს უძველეს კულტურულ ცენტრში მესხეთში ისევ აღსდგა თეატრი. თეატრში

წავიდნენ თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტისა და კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლის კურსდამთავრებულები, რომლებმაც დიდი ენთუზიაზმით მოჰკიდეს საქმეს ხელი. თეატრი გაიხსნა გარეთვე მეთაულურიგულ ქალაქ რუსთავეში. ამ თეატრმა პირველივე სპექტაკლებით საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია.

მიმდინარე წლის გაზაფხულზე ზვიმით აღინიშნა მხარაპიის თეატრის 100 წლისთავი, სპექტაბერში აღინიშნა ზუგდიდის თეატრის 100 წლისთავიც.

საიუბილეო დღეებში მოეწყო დეკადები, თეატრალური ინტერესი კონსერვატივობა. ჩატარდა საუკეთესო სპექტაკლების კონკურსი-დათვალისებრა. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში რესპუბლიკის თეატრებმა 60-ზე მეტი ახალი სპექტაკლი გვარჩვეს. იმედის მომცემი გამოდგა სეზონის ბოლო თვეები: მარჯანიშვილის თეატრმა წარმატებით დადგა კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცება“. ქართულ თეატრალურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ფაქტი იყო გ. ტოვსტონოვოვის მიერ გორკის „მედიონის“ დადგმა რუსთაველის თეატრის სცენაზე. თეატრალური საზოგადოებრიობის დიდი ინტერესი გამოიწვია რუსთავეის თეატრის სპექტაკლმა „ესკერზე“ და გორის თეატრის წარმოდგენამ „მედიონი“. უნდა ხაზგასმით ითქვას, რომ ქართულმა თეატრმა ფართოდ აღინიშნა გორკის იუბილე.

მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ სეზონის წარმატებუმა არსებითი მნიშვნელობა აქვს რიტმულ მუშაობას. ახლა პირდაპირ წესად იქცა პრემიერების სიუხვე სეზონის დასასრულს. ეს იმას ნიშნავს, რომ შვირად არასწორად იგეგმება რეპერტუარი. არ ხდება დროის რაციონალური გამოყენება. ზუფხულების თვეების პრემიერებს თეატრები ხელოვნურად უმოკლებენ სცენურ სიცოცხლეს.

გასული სეზონის ანალიზი ბევრს გვეუბნება ჩვენ თეატრის ავკარგინაობაზე. პროცესები, რომელიც ამჟამად ჩვეს თეატრებში ხდება, არ გამოირცხავს კრიზისულ მოვლენებს შემოქმედებითი ცხოვრების სხვადასხვა დარტყმ. განსაკუთრებით აქტიურად ისტატუსის სფეროში. მაგრამ სამსახიობო ოსტატობის განვითარება იწოდირებულია არ ხდება. იგი დაფუძნებულია დრამატურგიაზე, ხოლო ერთსაც და მეორესაც წარმატავს რეჟისურა. ასე რომ აქ პრობლემების რთული კომპლექსია და ყოველ საკითხს ღრმა ანალიზი უნდა. ერთ სეზონში ერთობაზე ვერ გადაწყვიდება ღრმა საკითხი, მაგრამ საქირა მთელი ძალების კონსოლიდაცია, რათა ყოველი ახალი სეზონი ქართული თეატრის თვითმყოფადობის, მისი საუკეთესო მხარეების ახალი გამოვლინება იყოს.

ახლა თანამედროვე ქართულ თეატრში მიმდინარეობს ძველი და ახალი თაობის მსახიობთა ძალების მოცულობის რთული პროცესი. უფროსი თაობის მსახიობების დიდმა ნაწილმა საუკუნის ასაკს მიაღწია, ნაწილიც ფიზიკურად ჩამოშორდა თეატრს. ისტორიუ-



ლად ეს ბუნებრივი პროცესი არ შეიძლება გავლენას არ ახდენდეს თეატრის შემოქმედებით ცხოვრებაზე. ამიტომ ბუნებრივად ღებმა ახალი კადრების საკითხი. თბილისის თეატრებში ამ მხრივ შედარებით უკეთესი მდგომარეობა გვაქვს. ასე თუ ისე არის შერჩევის საშუალება, მაგრამ სულ სხვა სურათია რაიონის თეატრებში. ამ თეატრების მუშაობას უკეთ დავუთვო ეს ნაკლი. ამ მხრივ განსაკუთრებით საგადაჭრებელი მდგომარეობაა ქუთაისის, ფოთის და თელავის თეატრებში. თუმცა არც ჩვენ თეატრებშია დამამწმენდელი სურათი. როგორც სხვა, საქირო ხდება თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო უკუალტრეტზე მისაღები გამოცდების პრინციპის შეცვლა. საქიროა ნიჭიერი ახალგაზრდობის შერჩევა ხელმოკლეს უფრო ხანგრძლივი დროის მანძილზე და ამასთანავე არა ზოგადად, არამედ კონკრეტულად. ცალკეული თეატრებისათვის. რა დასაძლავია ზოგიერთ ჩვენს სახელმწიფო პროფესიულ თეატრში უმაღლესი თეატრალური განათლების მქონე ხუთი-ოთხი მსახიობი კი არ მუშაობს. რაიონის თეატრები ნიჭიერ რეჟისორთა ნაკლებობასაც განიცდიან. თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებულთა მნიშვნელოვანი ნაწილი სამუშაოდ მიდის ტელესტუდიას და რადიოში. ისინი კი რომლებიც უკვე რაიონის თეატრებში მუშაობენ, ყოველწლიურად ცდილობენ როგორმე თბილისში გადმოვიდნენ სამუშაოდ. არსებითად იგივე უნდა ვთქვათ მსახიობებზეც. თბილისისკენ ეს დენდაობა მრავალი სუბიექტური და ობიექტური მიზეზებით არის გამოწვეული. საქიროა ერთხელ და სამუდამოდ გადაწყდეს რაიონული თეატრების კადრების საკითხი. ამ საკითხის გადაწყვეტა კი მეტწილად ადგილობრივ პირობებზეა დამოკიდებული. სამწუხაროდ, ყველა რაიონის ხელმძღვანელობა ერთნაირი სერიოზულობით როდი ეკიდება ამ საქმეს.

ახალი სეზონი ახალ ამოცანებს, ახალ საფიქრალსა და საზრუნავს ქმნის ჩვენს თეატრში. დაიწყო ვ. ი. ლინჩის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადება. საქართველოს კულტურის სამინისტრომ უკვე შეიმუშავა საუბიბლო დონისძიებების გეგმა. ლინჩინა ქართული თეატრში პირველ ყოვლისა საუკეთესო სპექტაკლების გულსჩემობს. მას მიეძღვნება ახალ სეზონში დადგმული ყველაზე მაღალმხატვრული წარმოდგენები, განხორციელდება სხვა დონისძიებებიც. უკვე უნდა ვემზადდეთ, აგრეთვე საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავისათვის. ეს დიდი თარიღი, როგორც იტყვიან, კარს მოგვადგა.

ასე რომ გასაკეთებელი ბევრია. უკვე დაიწყო ახალი სეზონი. თეატრი ცოცხალი შემოქმედებითი კერაა და ბუნებრივია, რომ არც მისი რეპერტუარია უცვლელი. გზადაგზა იგი იხვეწება და იცვლება. ეარტი ახალი ორიგინალური პიესების მოძიებისში თეატრები რეპერტუარში სტოვებენ ვაკანტურ ადგილებს.

მაგრამ ძირითადად უკვე გარკვეულია ახალი სეზონის პერსპექტივა.

საბჭოთა კავშირის კვ პარტიის პლენუმმა თეატრების ყურადღება მიაქცია მაღალი დეფორი, მოქალაქეობრივი პათოსის ნაწარმოებებზე. არ შეიძლება შევერიგებოდ თვითმწიფორ ინერტულ-ნატურალისტურ ნაწარმოებებს, არ შეიძლება შევირგადეთ იმას, რაც მასურებელში ქმნის გულგრილობის, ობიექტული უკითხვარების ატმოსფეროს. ქართულ თეატრს

ქართველი ხალხის ბეჭედ, მის შრომაზე, მის ბრძოლაზე და სიხარულზე. მის ტკივილზე, იდეალებზე, იმედზე და მომავალზე ფიქრი უანდერძებს წინაარბება და ამ უანდერძული თეატრის მცირედაც საზრუნავიც ეს არის. იგი მოიცავს ყველაზე ძვირფასსა და მშვენიერს, რაც ქართველი ხალხის გმირულ ისტორიასა და თანამედროვეობაში ძვის.

ახალი სეზონის რეპერტუარში კვლავ იგრძნობა ახალმსახურული ორიგინალური პიესების ნაკლებობა. სარეპერტუარო პოლიტიკა, თეატრის რეპერტუარის გადახალისება და მრავალფეროვნება მოითხოვს თეატრის სცენაზე იდეებმოკლეს არა მარტო ახალი პიესები, არამედ მოხდეს საეუბრო სპექტაკლების განახლებაც. არ უნდა შევირგადეთ საუკეთესო წარმოდგენების ნაადრევად, ხელოვნურად „დაბრუნების“ ტენდენციას, რომელიც ჩვენს თეატრებში შეინიშნება. ძალზე საადრევად აღიკვეთა სცენიდან „ოიდიპოს მეფე“ და „მედეა“, „ბახტრიონი“ და „მე ვხედავ მშენ“, „ფიროსმანა“, „ესსანელი მღვდელი“ და სხვა სპექტაკლები. მდლოფორი მდგომარეობაა სხვა თეატრებშიც. ცხადია ამ მხრივ ძალზე სპეციფიკურია რაიონული თეატრების მდგომარეობა, მაგრამ აქაც უნდა ვცადოთ არ დაიკარგოს კარგი სპექტაკლი.

ახალ სეზონში ოპერისა და ბალეტის თეატრს განზრახული აქვს დაღვას „იადი“; ბუკის „დაუპატრეფებელ სტუმრები“ და სხვა საოპერო და საბალეტო სპექტაკლები.

რუსთაველის თეატრის განაცხადშია მოლიერის „გაზანაურებული მდბიო“, პოგოდინის „ერემლის კურანტები“, პუსტოვსკის „კოლონია“; იდგება ა. ცაგარლის „ნანუმა“, ხოლო მარტინოვილის თეატრის დგამს შ. დადიანის „გუშინდელს“, შიაკოვსკის „ბაღნიჩის“, შ. მრგელიშვილის „წამება დედოფლისას“ (ი. ცურტაველის მოთხრობის მიხედვით). თეატრის აღადგენს ი. ჰავევავაძის „კაცია აღმზინს?“, რესპუბლიკის ამ მოწინავე თეატრების რეპერტუარში არის თანამედროვე აუდიტორიისათვის საინტერესო პიესები, მაგრამ თანამედროვე თეატრს პირველ რიგში სჭირდება ჩვენი თანამედროვეობის ამსახველი ნაწარმოებუა. ამ თვალსაზრისით თეატრებმა ძალიან დიდი მუშაობა უნდა ჩაატარონ. ეს ნაკლი შეინიშნება სხვა თეატრების რეპერტუარშიც. ზოგიერთი თეატრის ხელმძღვანელობა ფიქრობს, რომ სეზონის მეორე ნახევარში შესძლებს ამ ნაკლის გამოსწორებას, შეიძლება ასეც მოხდეს, მაგრამ ეს მაინც არ იქნება სწორი სარეპერტუარო პოლიტიკა.

თბილისის თეატრების გარდა ახალ სეზონს ხვდება რესპუბლიკის თითოზემი თეატრალური კოლექტივა. მესხივილის სახ. ქუთაისის თეატრმა რეპერტუარში შეიტანა ი. ჰავევავაძის „ღვალხის ნაამბობი“, ს. კლდიაშვილის „ობროლი“, ი. ვაკელის „აპრაკუნე ჭიჭიბელი“, ქ. მეფვილიას „შეხვედრა მეორედ“. თეატრს ამჟამად მუშაობს დ. ცვიკარიძის პიესაზე „როცა სიცოცხლე გვეძახის“, ხოლო სეზონის პირველი წარმოდგენა სომხოს „შორეული ფანჯარბა“.

ი. ჰავევავაძის სახელობის ბათუმის თეატრმა წარმოადგინა სეზონის პირველი ნახევრის რეპერტუარი. რეპერტუარი ითვალისწინებს ა. ოსტროვსკის „უშიოთოსს“; მოლიერის „ძალად შევირგადეთ“, რა რანეტის „კრიმინალურ ტანგოს“.

განზრახულია ქანბანს სახ. სოსუმის თეატრში დაიდ-



გას. კ. გამსახურდიას „მოთვარის მოტაცება“, ო. მაიფორიას „იეთიმ გურჯი“, გ. ხუხუაშვილის „ცა და შიწა“, ირ. ჭავჭავაძის „ნისლიანი დღეები“, ელვარდო დე ფილიპოს „გარძელფუნა ტყუილი“, კაბიტალურად იქნება აღდგენილი მთავრობის „აბანო“, აფხაზური სექტორის რეპერტუარშია შილერის „მარიამ სტიუარტი“, მ. შერევილიშვილის „ზვავი“, ბ. შინკუხას, ბალიაოვიკისა და ლენინის ნაწარმოებები.

კ. ხეთაგუროვის სახ. ცხინვალის სახელმწიფო თეატრის ქართულ დანაში დაიდგმება ა. გეჟძის „ყარაშენ ყანთელაძე“, დიუმანზე და დანერის „ღონ სეზარ ლე ბაზან“, ხეთაგუროვის „ფატმა“, გ. ნატროშვილის „შინაწაში დამარხული სხივები“, ხოლო ოსური დანის განხორციელებებს პოლოდინის „თოფიან კაცს“. მილორაგასა და ტკაევის „სახიძობეს“, გაგლოვიის „წყუთულს“, ეკრაიოდეს „მედვას“.

გ. ერისთავის გორის სახელმწიფო თეატრის რეპერტუარშია დ. კლდიაშვილის პიესები, ბრეტის „საზუნაწელი კეთილი კაცი“, ლორენტის „ვეტსაიღის ისტორია“, გ. ერისთავის „დავა“, ო. მამფორიას „გურჯი“, ქ. ქუჩუკაშვილის „კონია“.

ა. წერეთლის სახელობის ქიათურის თეატრმა სეზონის პირველი ნახევრის რეპერტუარში შეიტანა ვ. ვაბესკირიას „ახალწლის დამე“, ფიგერაიდოს „მელა და უურძენი“, ა. გეჟძის „ყარაშენ ყანთელაძე“, შ. არაგვიპირელის „ნათე, მწეო“, გ. ხუხუაშვილის „ცა და მიწა“.

ახალი სექტაკლებით ხდებიან ახალ სეზონს შეამიანის სახ. სომხური, მუსიკალური კომედიისა და მოზარდმაყურებელთა თეატრები.

ახალ პიესებზე მუშაობა დაიწყეს რაიონის თეატრებმა:

ქართული თეატრალური საზოგადოებრიობა დიდი ინტერესით ელის რუსთავისა და მესხეთის თეატრების მუშაობას ახალ სეზონში.

ულდა ვიფიქროთ, რომ ახალი სეზონი ბევრ სინარულს მოუტანს ჩვენს მსაყურებელს.

მოსარდ მსაყურებელთა თეატრებში

თინგიზ ბალაშვილი

მოსარდ მსაყურებელთა ქართული თეატრის მთავარი რეჟისორი

როცა გასული სეზონის შემოქმედებით შედეგებზე ვლაპარაკობთ, უპირველეს ყოვლისა, უნდა გავისწავლოთ ის დიდი გამარჯვება, რაც ქართულ მოზარდთა თეატრის მოუტანა მარტის თვეში მოსკოვში ჩატარებულმა საბავშვო თეატრების საერთაშორისო კონგრესმა. ამ კონგრესზე ჩვენმა თეატრმა წარადგინა ქ. ქუჩუკაშვილის პიესა „კონია“ (სექტაკლი შე თვით დედამ, მხატვარია მ. მაღაზონია). „კონიამ“ დთავალიერების მონაწილეთა საერთო მოწონება და სათანადო დიპლომი დაიმსახურა.

ეს მიღწევა ბევრ რამეს გვაყვარებს მომავალში. გააწყვეტილი გვაქვს ახალ სეზონში აღარ წარმოვადგინოთ ძველი დადგმები და მსაყურებელი ახალი სექტაკლებით გავახაზოთ. სეზონის პირველ პრემიერად წარმოვადგინეთ ჩვენი პრინციპის ქვანთავის დავით კლდიაშვილის ერთმოქმედებიანი პიესები — „უბედურება“ და „დარისპანის ვასპირი“.

ახალ თეატრალურ სე-

ინანა ზინინიძე

მოსარდ მსაყურებელთა რუსული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და ლირიკოსი

ბასხული სეზონი ჩვენ-

მა თეატრმა კრანსოდარში გახსნა. იქ ერთი თვე დაეყვით გახტროლებზე და ერთი თვის განმავლობაში 115 სექტაკლი გაუმართეთ, მივემსახურეთ კრანსოდარის ახლო მდებარე თითქმის ყველა სტანიცას. ჩვენი სექტაკლები ნახა 4884 კაცმა. თბილისში ოქტომბერში დადგურდით. შარშანდელი წელი ნაყოფიერი გამოდგა ჩვენი თეატრისათვის. მოსარდ მსაყურებელთა შორის სიყვარული მოიპოვა ა. ფროლოვის პიესამ „რა რისთვის“, ბალიაშვილის „ლეგენდამ პაგანიანზე“, რუსული კლასიკიდან დავდგით ა. ოსტროვ-

სონში მსაყურებელს ვუჩვენებთ ვ. აქსიონოვის „კოლეგებს“, ნ. პოგოდინის „წითლს“, კ. დევედარიანის კომპოზიციას „ცხოვრებდა ნიკოლოზ ბარათაშვილისა“, ე. შვარცის „თელქუდას“, გ. ნახტორიშვილის „კომბლეს“ და ახლის „ტორიოსს“.

სკის „თოლია“. სამოქალაქო ომის თემას ეხება შიკევიჩის და შვედოვის „ალყა“.

მიმდინარე წლის სეზონი უკვე გავხსენით. წინა გვექონდა და ახლანახს გავიშვით სერგეი მისხლოვიის „მევიხარა კურდღელი“. ამ დღეებში წარმოვადგენთ კიდევ ერთ ახალ სექტაკლს — გ. მამლინის „ფიქვირვერკს“. ჩვენთან მუშაობს აგრეთვე თოჯინების რუსული თეატრი. ამ თეატრმა სკოლადგელი ასაკის ბავშვებს უკვე აჩვენა ლეგენდების „ჩემი მამა ლომია“, უახლოეს ხანში წარმოვადგენთ ახალგაზრდა ქართველი დრამატურგის მ. ჭავჭავაძის პიესას „შინა და მისი გურღი“.

მე თვითონ ვმუშაობ „გლანის ნაამბობის“ დადგმაზე. სექტაკლს მხატვრულად

გააფორმებს მხატვარი გ. ცურაძე. ახლოვდება ლენინური კომპარტიის 50 წლისთავი. ამ თარიღთან დაკავშირებით ვდგამთ რამკინის პიესას „უკვდავი მშვერავები“. ლენინის დაბადების 100 წლისთავს მივუძღვნით შაბინოვის პიესას „რევოლუციის სახელით“. ჩვენი თეატრის მიმდინარე სეზონის რეპერტუარშია ალექსინის „ჩემი ძმა კლარნეტს უკრავს“, ვოლოდინის „ჭადლოქარი ქარვის ქალაქიდან“, ზაიცევის „რობინჰოლი“, განახლებული დადგმით წარმოვადგენთ გ. ნახტორიშვილის „ენჭარაქას“. ჩვენი დავეითთ საქართველოს კომკავშირზე პიესას წერს გ. ალექსანდრია. ლენინური კომკავშირის 50 წლისთავთან დაკავშირებით თეატრში მოეწყობა კომკავშირის ცხოვრების ამსახველი გამოფენა.



ნიქოლოზ ბარათაშვილი და თეატრი

ლიბრეტო ჯანელიძე

ბასში საუკუნის 40-იან წლებში ნიქოლოზ ბარათაშვილი არა მარტო ცნობილი პოეტი, არამედ საზოგადოებრივი მოძრაობის მოთავეც, — მის გარშემო შემოკრებილია იმ დროის კულტურის მოღვაწეები მოწინავე ძალები. ნიქოლოზ ბარათაშვილის წრე იღვწის ქართული პრესის განახლებისათვის, ზრუნავს ქართული თეატრის აღდგენისათვის, მეცადინეობს საქართველოს მეცნიერული ისტორიის შესადგენად, აარსებს ბიბლიოთეკას, უყვარსდება პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიას.

ბარათაშვილის ამ მრავალმხრივი მოღვაწეობიდან თეატრის აღდგენისათვის ზრუნვას შეგვიძინებ. განათვალისწინებელია, თუ რა იდეურ საფუძველზე იყო განიჭებული ქართული სასცენო ხელოვნების წარმართვა.

ნიქოლოზ ბარათაშვილის რომანტიზმი გასული საუკუნის 30-იანი წლების რევოლუციონერ-შეთუქვლთა ესთეტიკის საფუძველზე ყალიბდებოდა. როგუნდ განათავისუფლებული მოძრაობის წიაღში წარმოშობილია სახელოვნო შეხედულებებმა გამოხატულება მიიღეს ფილოსოფოს სოლომონ დიდაშვილისა და პოეტ გრიგოლ ორბელიანის ნაწერებში. ამისდა მიხედვით ბარათაშვილისათვის თეატრი იყო საშუალება, „რომელიც აწარმოებს აყვავებასა სამშობლოსა ჩუენისას“.

თეატრი ხალხის განათლებულობის საწინააღმდეგოა; „თეატრი რაოდენცა არს უკეთეს, ეგოდენ ერი ანუ საზოგადოება არს განათლებულ“. ეროვნული თეატრის აღდგენის საკითხი შეიძლოდ დაუკავშირდა სასცენო ხელოვნების აღმშრდელობით დანიშნულებას; „აქვს დიდი ძლიერება ზნეობასა ზედა, რამეთუ თეატრი არს ცხოვრებისა ჩეენისა წარმოდგენა“.

აღიარებულ იქნა რა სასცენო ხელოვნების ზეგავლენის დიდი ძალა, ბარათაშვილის რწმენითაც თეატრი უნდა გამოყენებულ ყოფილიყო როგორც ქველდითი იარაღი განმათავისუფლებელ იდეათა გასავრცელებლად. მაყურებელთა იდეურ-ზნეობრივ აღზრდას უზარებელი წარმომსახველი თეატრი ახორციელებს უპროფიტი და დადებითი მავალთების ემოციური, შინაგანგებელი ჩვენებით: „ბოროტთა საქმეთა... წარმოგვიდგენს თეატრი თვალწინ ყოველთა მათთა სიბღწეთა და არწმუნებს გრძნობათა მხილველთასა. წინააღმდეგ ამისა საქმენი ეკოილნი გვეჩვენებინან ესრეთ შევნივრად, ესრეთ ტურფად, რომელ გულთა დანიშნის აღივსების გამოუთქმელთა სიხარულითა და მათი დაცვისათვის მაშინვე განწმუდვის ყოველთა ტანჯვათა მოსაშენად“. ბარათაშვილისათვის ამ ესთეტიკურ დებულებათაგან ყველაზე უფრო გულში ჩამწვდომი უნდა ყოფილიყო ეს უკანასკნელი: თეატრი მებრძოლი ოპტიმისტური სულისკვეთებით ადასებს მაყურებელს, ეთოლბა და დაცვისაგან მოუწოდებს მას, კეთილსათვის ბრძოლაში „ყოველთა ტანჯვათა“ მოსაშენად განაშადებს.

თეატრალურ-სასახიობო ნათლობა ბარათაშვილმა ჯერ კიდევ სკოლაში ყოფნის დროს მიიღო. ბარათაშვილი სასახიობო კონცერტებში არა მარტო მონაწილეობდა, არამედ მოწაფეობის ხანიდან მეთაურობდა სასახიობს, იცავდა და ქმობდა მას. როდესაც მოწაფეთა კონცერტს ზოგი აპროტესტებდა და ზოგიც დასკვნოდა, ბარათაშვილს მათ სამხილვლად ლექსი — სატირა დაუწერია, რომელიც ასე იწყებოდა: „კონცერტილი დავგავადებ, დავაფთვივის კულემი“. ეს სატირა — ლექსი თვით თბილისის სამოქალაქო გაუბერნატორ ფალავანდიშვილისათვის უახლებია. თურმე, უნდარბო თვით, პოლიცია და პროკურატურა შეიძრა, საქმეში შევიდა მოავარძირებულნი ჩაერია, როცა გარკვეა, რომ სატირის ავტორი 14—15 წლის ბარათაშვილი იყო, მას მშობლების ხელით გაწეკლვა აკარეს, — ასე რომ ბარათაშვილი სასახიობისთვის „როგუნდარული“ მგოსანი იყო.

შემდეგ ბარათაშვილმა თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სასახიობო დრამატულ შემოქმედებაში, მხედველობაში მავს „სუმშული და მწირი“. ბარათაშვილმა სასახიობო პოეზია გამოიტანა სატრფილო საღადობო პოეზიის ვიწრო რეალიდან, პროგრესული რომანტიზმის შესაბამისად შორს გაუღდა მიჯნები. ფილოსოფიურ მოქალაქეობრივ სულისკეთებას აწარია, თავისი დროის განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეათა გამომსახველად აქცია.

შინაარსის შეცვლამ გამოიწვია „ვარდ-ბულბულთა-ნის“ ტრადიციული აღნაგობის გარდაქმნა. ვარდი სუმშულით შეიცვალა, ბულბული მოქმედების გარე არის გაყვანილი, თუმცა სუმშულის გრძნობა სიყვარულისა მისცემ არის მიმართული, სუმშულს ენაასუნა მწირი. სუმშული (შრომანისებრთა ოჯახის სურწნელოვანი ყვავილი, ფე. ქართულით „ნარდი“, რისგანაც ძვირფასს ნელსაცხებელს ამზადებენ) ტყეობაშია. მას ებრძვის სამშობლოს უარმყოფლობა — მწირის სახით. მწირი (უცნობი, უთვისტომო, უცხოეთში მყოფი, უცხოებაში გაწრდილი) ბარათაშვილის ლექსების ლირიკული გამირი. — ლექსში „უკოვე ტაძარი“ პოეტი ამბობს „დავად ოხლად, ისევ მწირი მოუსვარარი“. სასახიობო „სუმშულსა და მწირიში“ პოეტი არა მარტო ფსიქოლოგიურ დაპირისპირებას მიმართავს, არა მარტო კონფლიქტის გაწევაებასა და გადაწყვეტას ესწრაფვის, არამედ, რაც მთავარია, დემოკრატიული, პროგრესიული რომანტიზმისათვის დამახასიათებელი განსოგადობას აღწევს რომანტიკული სახიერებით (მწირი) და თავისუფლებისმოყვარე სულის ზოგადკაცობრიული ღტოლვის მასშტაბურობით. თანაც, ისევე, როგორც უახსხე, ქალ-ვარის გაბაახებაში, შეიმჩნევა ხასიათის რეალისტური სატირიკული განწყობით მოხაზვა. „ვარდ-ბულბულიანის“ თემის ეპოქის განმათავისუფლებელი იდეების თვალსაზრისით გადაწყვეტას, რომანტიკულ ლილსა და რეალისტურის შერწყმაში შეიცნობა ბარათ-

თავილის პოეტური ბუნება. სუბმულსისა და მწირის შემხამეზებაში იმარჯვებს სამშობლოსა და სიცოცხლისთვის. მისი და თავისუფლებისაგან ღტოლვა. შემგულებლობა-შემარტებლობა, სამშობლოს უარყოფლობა მწირის სახით — ფარხმალს ჰყრის, თავის „ყვავილისკენ“ იბრუნებს პირს, მის განთავისუფლებას ესწრაფვის.

ნ. ბარათაშვილი ერთ დროს აღ. ჭეჭვაძის სცენის-მოყვარეა წრეში მოხაწილებოდა დიმიტრი ყიფიანთან ერთად. ეს წრე აღ. ჭეჭვაძის ხელმძღვანელობით ამზადებდა მის მიერვე თარგმნილ კორნელის ტრაგედიას „სინანს“. როდები ასე ყოფილა განაწილებული: ავესტიკო-კეისარის როლს ასრულებდა აღ. ჭეჭვაძე, სინანს — გრიგოლ დადიანი (კლახიდალი), მაქსიმე — დიმიტრი ყიფიანი, ერთ-ერთი როლი უნდა ეთამაშნა ნიკოლოზ ბარათაშვილს (საფიქრებელია, ეფორებს როლი), ი. მეუნარგავის გადმოცემით, გრიგოლ დადიანი შემდეგეზავა „წეზიარად, არტისტული გადმოცემით“ კიბხულობდა მონოლოგებს „სინანდას“.

გასაგებია, რომ ბარათაშვილის რომანტიკულ-რეალისტური შემოქმედებითი ბუნებისათვის შეუთავსებელი იყო კლასიციზტური მიმართულების დრამატურგა და თეატრი, როგორც თავის იდეური მიმართულებით, აგრეთვე თავის გამომსახველი თავისეული ხერხებით. ბარათაშვილმა თვით შექმნა ახალი წრე. ამ ახალ ლიტერატურულ წრეში, როგორც მოქმედებენ ბარათაშვილის ბიოგრაფები, ისევე აცოცხლებენ ქართული თეატრის აღდგენის იდეას.

ნ. ბარათაშვილი ამ სალიტერატურო წრის შესახებ სწერდა 1841 წელს გრ. ორბელიანს: „ლიტერატურა ჩვენი დღე და ღამე შოულობს ახალთა მოყვარეთა. მრავალნი ყმაწვილნი კაცნი... შეეწევიან მამულთა ენას რაოდენიცა ძალუძთ, ესე საზოგადო სული ბუნებითის ენის ტრფიალებისა ყმაწვილთ კაცთ შორის აღმოჩნეს, რომ ქართველთ არა სძინავთ გონებით“. ამ წრეში თეატრის აღდგენისათვის გამალებით ენაღდებოდნენ: იწერებოდა სასახიობო გაბაასებანი, კომედიები, რებერტურის შესავსებად პიესების თარგმნას მიჰყვებ ხელი. ნ. ბარათაშვილი 1841 წელს გრ. ორბელიანს სწერდა: ჩვენმა ლიტერატურამ ორი კარგი თარგმანი მოიპოვა, დიმიტრი ყიფიანმა გადმოთარგმნა შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“ და მე ლიხვიციის ტრაგედია „იულიუს ტარენტილი“ ვთარგმნი. „მე ძალან მომწონს და ჩვენმა განათლებულმა ქალბებმა, ასე გასინჯე, იტირეს“. ლიტერატორთა წრეში რომელსაც ბარათაშვილი მეთაურობდა, ქართული თეატრის აღდგენის გზად რომანტიკულ-რეალისტური მიმართულება აირჩია. ამიტომაც იყო, რომ ბარათაშვილმა თარგმნა რევოლუციური სულისკვეთებით გამჭვალული ტრაგედია ლიხვიციისა. რთ იტაცებდა ეს ტრაგედია ბარათაშვილს? ბარათაშვილი ამ ტრაგედიაში ხედავდა საკუთარ პოეტურ მისწრაფებათა გამოძახილს.

ამ ტრაგედიის გმირის იულიუსის მონოლოგებში, ასპერმონტესა, ბლანკსა და გვიდოსთან გაბმულ დიალოგებში ბარათაშვილი ენაფებოდა ქარიზულიან ვნებათაღღვას, ამოხი სულის, თავისუფლებისა და სიყვარულის შისიკენ ღტოლვას. ამ დროს ხომ პოეტის

სულში უყვე აღძრული იყო და შვავდ მდღეღვარ სტიქონებში აფეთქებით უნდა განათებულიყო რომანტიკული პოეზიის მეხთაქორცვა — „მერანი“. გიორგი ნადირაძის კეთილი სიტყვით მოსახსენებელი დამსახურება, რომ მან დღემდე მიუგნებელი „იულიუს ტარენტილი“ ნიკოლოზ როსტოვი თარგმანი სქელახლა თარგმნა იმ დღედან, რამელიც ხელთ ჰქონდა ბარათაშვილს და ცოდნით და მხატვრული სახერხებით დაწერილ წინასიტყვაობაში ვაარკვია ქართველი რომანტიკოსი პოეტის და ლიხვიციის იდეათა და მისწრაფებათა ზოგირისი შეხედვრად და თანადამთხვევა.

საგულსხმია, რომ როცა გ. ერისთავმა ქართული თეატრი აღადგინა, მან გრიგოლ ორბელიანისხაგან წაიღო ბარათაშვილის მიერ თარგმნილი ტრაგედია, რისთვის? ალბათ უნდოდა მისი განხორციელება სცენაზე, მაგრამ ეს იმ პირობებში ვერ მოხერხდა. ცაროში ქართულ თეატრს უკრძალავდა მონუმენტური დრამატული უნარის ნაწარმოებთა განხორციელებას და ვიდევალეების სალალობო წარმოდგენებით დაკმაყოფილებას აიძულებდა.

საინტერესოა ბარათაშვილისა და გიორგი ერისთავის ურთიერთობა. ბარათაშვილის ლიტერატურულ წრეში, სადაც თეატრის აღდგენად ნიდაგი მზადდებოდა, უმთავრესად გიორგი ერისთავის იმედი ჰქონდა. ამ დროს გ. ერისთავი უყვე ცნობილი იყო როგორც სასახიობო გაბაასებათა (აღედა და ქალი — კრანსი სარაფანის ხმაზე“ და „ღედა და ქალი“ — მეორე) შემოქმედი და კომედიის „ღვის“ და „გაურის“ ავტორი. ამიტომაც იყო, რომ ნ. ბარათაშვილი მაიკო ორბელიანს 1842 წ. ავლებდა: „თუ გელუხარირი (გ. ერისთავი) ნახო ჩემ მაგიერ მოიკითხე, და უთხარა აღმერთი ვაგიწერა, რომ ეგრე ფხვი აიკვეთ ქალაქისკენა თქო, როგორ აღარ აგონდებ რა სასიამოვნო შენს პოეტურ სულსა თქო“.

გ ერისთავმა ნ. ბარათაშვილი თავის კომედია-პოემაში „შეშლილი“ მოქმედ პირად ტატოს სახელით შეიყვანა. მაგრამ ბარათაშვილის სახე უფრო „დავა“-ში ჩანს პოეტ ბეგლარის სახით. გ. ერისთავმა ამ კომედიაში თავისი დროის ახალგაზრდობის მოწინავე პროგრესული მისწრაფებანი გამოხატა, ბეგლარის სიტყვებში მერანისებური სულისკვეთების ხმა ისმის:

მოლით მერცხალნი მომეძინე ფრთენი,
 მიწით შეეძქმენ აღმასაფრენი,
 აღფრინდე მაღლა და კვალდე მაღლა,
 რომ მე გხვადავე ქვეყანას დაბლა!

გავმალე ღრთენი
 სანაგარლონი,
 ვნახო რა მზისა
 მარავანდენი,
 მერე რძის გზასა,
 ვარსკვლავთ კვალსა
 შეუდგებოდე
 წინათობა სელსა,
 მთავრესა გრცელსა,
 ღამესა ბნელსა
 განგხრეკე მათში
 საცხოვრებელსა,
 გარანდა ვაი მე ღეთისა ქმნილ



ვარ ამა მიწას მაგრა მიკრული,
გვეირობ რად მომცა გონება, ნება,
თუ რომ სიკვდილი სულ დასრულდება...
მაგრამ რა უჭერეტ მზესა, მთვარესა,
ამ მნათობთ ვარსკვლავს ცისა მყარესა,
იღუმალ შეტყვის მე სინდისი,
სხვა სოფლისათვის არს საშუადისი!

საიუბილეო ქონაქარის შედეგები

რომ გ. ერისთავს, „დავის“ სცენაზე განხორციელები-
ნას, ზეგლარის სახით ბარათაშვილი ესახებოდა, ეს იქი-
დანაც ჩანს, რომ თავის ლექსში ბარათაშვილზე, რაც
მან თავის მიერ დაარსებულ უფროს „ციკლარში“
1852 წ. გამოაქვეყნა, გარდაცვალებულ პოეტს მიმარ-
თავს: „ითქონს გზედა შენ მოარულსა რძისა გზაზე-
დან“ (შეადარე ზეგლარის სიტყვებს: „მერმე რძის გზა-
სა, ვარსკვლავთა კვალსა შეუღებგებოდე“). ინტერეს არ
არის მოკლებული ისიც, რომ გ. ერისთავმა პოეტი
ზეგლარი (ნ. ბარათაშვილის სახიერება) მიაკუთვნა ყვე-
ლა ქვეყნისა და ყველა დროის წამებულ და დევნილ
პოეტთა პანთეონს —

მწერალთა მტერნი!
სავსენო შურით!

თქვენ არ იყავით დასცინოდით დიდ ბაიროსსა,
თქვენ არ იძულებთ, განაშორეთ მშობლის სიროსსა

ტორკვატო ტასი?
ვერ სცანიო ფასი,
უწოდეთ მტერი,
ჰქმენით პყრობელი
მის მღერა ტკბილი,
არ მოიგონეთ!

თქვენში არ იყო კამოენსი მოკვდა მშვირი,
თქვენ არ სდევნიდით დიღსა დანტეს იყავით მტერი?
და ოვიღა რომისაგან რისთვის განავლეთ?

იქნებ მეც მისებრ მომიძულეთ არვინ დაგანდეთ.

„გავისხენოთ, რომ „დავს“ თავდაპირველად ერქვა
„პოეტი“. ცენზურული პირობების გამო ერისთავმა ეს
სახელწოდება შესცვალა და მის განხორციელებისას
პოეტის სახე ჩრდილში დააყენა. გ. ერისთავმა, ყველა-
ზე დახელოვნებულმა მსახიობის ხელოვნებაში, თვით
ითამაშა კუმუხტოვის როლი და ამით იგი წინ წამოსწია,
ხოლო პოეტ ზეგლარის სახე უკანა ხაზზე გადასწია.
ცენზურული პირობებით გამოწვეული ეს მიმართება
შერჩა ამ ნაწარმოების სცენურ განხორციელებას, მით
უფრო რომ კუმუხტოვის როლს შემდეგში ისეთი მა-
ღალიყიერი განმსახიერებელი გამოუჩნდა. როგორც
იყო დიდი ვასო აბაშიძე, მის მიერ შექმნილი ყოველი
სახე ხომ მიუწვდომელი ნაბრძნის მნიშვნელობას ღებუ-
ლობდა და ამ კომედიის ასეთი მიმართების შეცვლა
შემდეგშიაც არავის ფიქრად არ მოსვლია.

იქნებ დროა, რომ ამიერიდან, თუ ჩემი გუმანი სარ-
წმუნოა, გ. ერისთავის „დავა“ წარმოდგენილ იქნეს,
როგორც პიესა პოეტზე და მასში აღსდგეს ბარათაშვი-
ლის სახიერება.

ნიკოლოზ ბარათაშვი-
ლის დაბადებიდან 150
წლისთავის იუბილესთან და-
კავშირებით საქართველოს
თეატრალურმა საზოგადო-
ებამ მოაწყო შოთა რუსთა-
ველის სახელობის მხატ-
ვრული კითხვის მორიგი
კონკურსი ორ ტურად.

პირველ ტურში, რომე-
ლიც 2 ივლისს ჩატარდა,
მონაწილეობდა 9 მკითხვე-
ლი, აქედან მეროე ტურში
დაშვებულნი იქნა — 4.

12 სექტემბერს შედგა
კონკურსის მეორე შემაჯა-
მებელი ტური. ნიკოლოზ
ბარათაშვილის დაბადები-
დან 150 წლისთავისადმი
მიძღვნილი შოთა რუსთა-
ველის სახელობის მხატვრუ-
ლი კითხვის კონკურსის
პირველი და მეორე პრემია
არავის არ მიეკუთვნა, მესა-
მე პრემია წილად ხეუა
რუსთაველის სახელმწიფო
აკადემიური თეატრის მსა-
ხიობს ჯაჯა ბაწელაშვილის.

საპატიო დიპლომებით
დაჯილდოვდნენ მსახიობე-
ნი: თამარ თუშიშვილი და
ამირან შალიაშვილი, წი-
თელწყაროს რაიონის კოლა-
მეურნეობის ბრიგადირი
შოთა ნატრავილი და მოს-
წაველ მანანა ნესოშვილი.

„ანტიგონა“, გ. რუსთაველის სახელობის თეატრში

სადიან ზალუბაშვილი

შ. რუსთაველის სახელობის თეატრის ასალმა დადგამამ — ანტიგონემ¹ მკურნებელია ინტერესი გამოიწვია, მის შესახებ კამათობენ, მაგრამ გულგრილი არავინ დარჩენილა. შესაძლებელია ზოგიერთმა აღნიშნოს, რომ სპექტაკლი არ არის ტრადიციული, მასში არ არის პათეტიკა, კოორდინაცია შემდგარი წყნებები, მაგრამ მასში სულ სხვაა მთავარი — „ანტიგონის“ ავტორი. ცნობილი ფრანგი დრამატურგი უან ანუი და პიესის ინტერპრეტატორი რევისორი მისი, თუმცა მნიშვნელოვანი სხვა ციხედანდენ ცნობილი პერსონალი სიუჟეტში ანტიგონის ტრაგედიის ჩარჩოებში მათ მოაქციეს თანამედროვე ადამიანები, ჩვენი დროისთვის მტკივნეული საკითხები. თუ სოფოკლეს ცნობილი ტრაგედიაში ანტიგონეს დაღუპვის მიზეზი დემოკრატია და აღმართების მიერ შექმნილი კანონთა შეურაცხველი კონფლიქტია, თანამედროვე ტრაგედიაში ანუიმი ეს კონფლიქტი სახელმწიფოსა და პირადების ურთიერთობაზე ააგო. პიესისა და სპექტაკლის ცენტრში მოექცა გრძნობათა სიწმინდესა და პიროვნების დამამკრებელ, მთავარცხოველებ ცხოვრებისეულ უსამსობას შორის შეუღლილი. ე. წ. „შავი სიბნელის“ ციკლის ნაწარმოები „ანტიგონე“ უან ანუიმ დასწერა, მაშინ, როდესაც პარიზის ბულვარების ფაშისტ დამპყრობთა ჩქმა თვალდევდა. სწორედ იმ დროს დრამატურგმა „ვირდისფერი“ ციკლს ვერად უქცია, კამერაში დრამაში ტრაგედიით შესცვალა, ტრაგედიით, რომელიც პირადული, კერძო კონფლიქტები ისტორიული პროცესების წარმართვით ძალიან შეჯახებამ შესცვალა, და სცენაზე მოვიდნენ გმირები, რომელნიც საზოგადოებრივად მნიშვნელოვან იდეათა განვითარების წარმოადგენდნენ. ანუის, როგორც ყოველ პატრიოს ადამიანს უნდა გაეცა პასხვი ცხოვრების მიერ დასმულ კითხვებზე, მიიღებდა თუ არა იგი პიტიონის მიერ შექმნილ „ახალ წყობილებას“ ევროპაში, და ანუიმ, ამ სასტიკი განსაცდელის წლებში ანტიგონეს პირით თავისი „არა“ გამოავსება.

ანუიმ „გაათანამებდნენ“ ანტიგონის სიუჟეტი, მის რემარკაში აღნიშნულია, რომ სცენაზე მოქმედი პირები თანამედროვე ტანისამოსში არიან გამოწყობილნი, საუბრობენ და ბანქოს თამაშობენ. უსტახდა ავტორის სურვილისამებრ იწყებს თავის სპექტაკლს მისი, თუმცა მნიშვნელოვანი — გადაშლილი სცენაზე რამდენიმე სკამია, უკან კოლონადის ნაწილი ანტიგონის ლარნაკი, რომელიც მსახიობებს მოქმედების დროს ადგილიდან ადგილზე გადააქვთ (მხატვარი გ. გუნიანი). იუმბიტრები ანუიმ ბანქოს მოთამაშე ჩადგობს. საქოვით ვარით ევრდისფერს (ნ. მგალობლიშვილი), ჰემონის (ს. ლაღიძე), ძიძის (თ. თეთრაძე) და ანტიგონეს, რომელსაც თვით კალითის ჩაურგავს, რაღაც ფიქრობს წამით სთავი ეღებუა და პაროდიურ (იგი ქორის როლსაც ასრულებს) — გ. საღარაძე ხელში იღებს ანტიგონე ნიღბს და უბრძოლოდ, სადად, ყოველგვარი ემოციის გარეშე, იწყებს თბრობას, გვაცნობს „გამზადარ და გულწაზარბილი გოგონას“ ანტიგონეს, რომელსაც არავინ უყურებდა სერიოზულად და რომელიც „უცემო“ მხირობდა... ასე იწყება მისი. თუმცა მნიშვნელოვანი სპექტაკლი, სპექტაკლი, რომელიც რევისორის შემოქმედებაში გარკვეულ ტიპს წარმოადგენს, რადგანაც აქ განსაკუთრებულიად გამოვლინდა მისი შემოქმედების „ინტელიქტუალური“ მხარე, მისი ადამიანის ფსიქიკაში დრმა ჩაქვდომის უნარი და მსახიობთან მუშაობის ნიჭი, მისი, თუმცა მნიშვნელოვანი ამ სპექტაკლი რევისორული ხერხების გამოყენებაში საოცრად მუწუნია, მთელი დიდ-იღბალია წარმოადგენსა მან თვით მსახიობებს გადაეცა, მისხსენებები ძალზე უბრალო და ლაკონური, უგრძობოდ თამა-

შობს ყველა მთავარი გმირი. მისი თუმცა მნიშვნელოვანი ამოცანაა მსახიობები ისე ამოქმედოს, რომ „მსხვილი პლანიტი“ გვიჩვენოს ისინი, ჩაგვხედოს ადამიანთა განცდილების ყველაზე დაფარულ სველებში...

რევისორის მიერ გამოჩენილი გარკვეული თავშეკავებულება მსახიობებზეც გადადის, მან არ დაუშვა სცენაზე არც ერთი ზედმეტი ყოფითი დეტალი, იგი მსახიობთა შინაგან გარდასახვას მოითხოვს. მართალია, ყოველივე ეს მაღალ, დახვეწილ ტექნიკას, პერსონალ გამომხატველობით საშუალებებს, დაფარულ ტემპერამენტს მოითხოვდა და, რასაკვირველია, ყველა მსახიობმა ვერ შესძლო რევისორის მიერ დასახული ამ რთული ამოცანის გადაწყვეტა, მაგრამ სპექტაკლში ნაყოფინა ბევრი რამ ისეთი, რამაც უფოლო შინაგანად გამაღიდა რაგორც რევისორი, ისე მსახიობები.

...თითქმის ყვერტრე შემდგარი ფესნიშვლა ანტიგონე ფეხბრფით შეიღობს სცენაზე. ე. კვერნჩილიაძე, რომელიც ამ როლს ასრულებს, გვიჩვენებს სულოვრად აღორაქებულ არსებას, რომელიც გაუფორნარი უბრძობა ჩაიღნა, დაარღვია მუდის და ბიძის კრწობის ბრძანება და მიწას მიბარა მერე მისთან ეთოკლებსან ორთობროლოში დაღუპული მძა პოლინიკე. იწყება სპექტაკლი-კამათი, სპექტაკლი, რომელიც ადამიანობას და გმირობაზე, მოვლეთობის გრძნობაზე, სინტიკეზე და ცხოვრების წინაშე უფომპრობისობაზე მოვითხოვს.

ანტიგონე — კვერნჩილიაძე თავიდანვე უკვე მსხენისთან სცენაში ამხედრებულად ადამიანთა მიერ დაღეგნილი კანონების წინააღმდეგ, იგი არ უნდევს დას. შოვოავს და ბრძვას, შესაძლოა ზედმეტად ადრე იწყებს იმ ამბიონების გამოხატვას, რომლის კულმინაციას კრწონთან შეჯახებაში ვლინდება. ე. კვერნჩილიაძე ემოციონი, მითროლოვარე ბუნების მსახიობთა კბ თვისება დასაწესებულ ვლინდება — სცენაზეა შვავ კამაში გამოწყობილი, ნაწი, თმა აწეული ანტიგონე, მისი თვალბიდად იღვრება სიმტიკისა და შიშის ხარეცი, ყოველი მოძრაობა მძაფრია, მოსლელითი, ხმა ხან ზარივით რეკს, ხან თითქმის წყდება... როგორი პატრარა და უმწერო იგი ამ დიდ საყურარში, სადაც არავის ემსის მისი, რა სიმწერითი და სასწარმეკეთით უბარება ძიძის ბროლიას მოუაროს — „მე მას ვერასოდეს დავგლამარაკებში...“ და ამ ვერასოდესში გაისმის პირველი ნოტა უიმედობისა და განწიროვლებისა. შემდეგ ხს გრძნობა სულ უფრო იზრდება და შოვოავში, გმინვაში გადადის. აი, ანტიგონე მისთვის ყველაზე საყვარელი ადამიანს ჰემონს ხედავს, ჰემონი სულაც არა გრძნობს მოახლოებულ უმედურებას, ოცნებობს მრავალ ბედნიერ საღამოზე. ანტიგონე — კვერნჩილიაძე ამ სიტყვების გავრობაზე რგორდაც შეტოკდება, სახე შეეშება, იგი უმზოდა სტირის როდესაც ამბობს — „შემოძლება, არა...“ ოცნებობს არასტებულ და განუხორციელებელ ბედნიერებაზე, მაგრამ უკვე წახულ დროში ლაპარაკობს ყველაფერზე, დაუნებობი ჩაქვი-თნება ჰემონს — „მე შენ გიყვარდი, ჰემონ?“ გიყვარი-ნი? დაწწმუნებულნი ხარწ? და თან სინაწული — „მე ხომ ასეთი უწმო ვარ, შავი, გამზადარი...“ ამ სიტყვებს უფსკრულებს პირას მდგომი ანტიგონე ამბობს, მის ცრემლებდნაწმულ სახეზე ყოველი ნაკვთი აკაკალებს... ადამიანს არ ძალუქს ამდენი მწუხარების ატანა, გიუყვარი ანტიგონეობი სახეზე, სახეშეშლილი ანტიგონე — კვერნჩილიაძე ყვირობით იშრობს ჰემონს — „რავალს უდგება, წადი...“ და მუდარით, გამზარული ხმით ამბობს „თუ შეიძლება, წადი ჰემონ...“ აქ არის კულ-



მინაცა ანტიგონის ბედნიერებასთან გამოხიზვევისა, შემდეგ იგი მხოლოდ იმპროს, იცავს თავის უფლებას მოკვდეს, მაგრამ დარჩეს ადამიანად, არ შეურაცხდეს ბრძოლებას.

პირველი აქტი, ჩვენის აზრით მსახიობისაგან მეტ ჩაყვრებას, თეატრული შექმნილობის გაღრმავებას მოითხოვს, მეტ უწყვეტეულობას ძიძისთან და ისმენსთან სცენაში, საპროფორმ სცენა შემოინახოს დიდის ძალითა და სიმართლით ვლდებს.

მეორე აქტი მსახიობის თამაში უფრო დახვეწილია, მინაცადა სიბრტერის, ანტიგონის და კრონტის სცენაში საუფლებოა სექტაქლოში. ორივე მსახიობი ს. ზაქარაძე და ზ. კვერცხისაძე მას დიდის სიმართლით თამაშობს. მათი დილოგი ბრძოლის აზარტითაა გამსჭვალული, ანტიგონე-კვერცხისაძე ამ სცენებში აღარ არის ბავშვი, მან დაქარგა თავისი პირვანდელი გულუბრყვილობა, იგი ამაყია, მუცუცხვია; გამოცდილი პოლიტიკოსი, მშლავი, მეომარი, მეფე კი უსუსური ჩანს მის წინაშე, რაც უფრო მეტად აწიშვლებს თავის შინაგან სამყაროს კრონტი. მით უფრო ეხიზდება და სძულს იგი ანტიგონეს. შექმნილი იგი უფროის კრონტის ... მე ჩერ კიდევ შემოდის უარი მოქვა. უარი უთხრა უველაფერს, რაც არ მომწონს, ჩემი თავის მსახურად მე თვითონ ვარ, თქვენ კი თქვენი გვირგვინით, თქვენი ქარისკაცებით, მოიღის თქვენი ბრწყინვალეობით არაფერი შეგიძლიათ ავათეთ... თქვენ მართო ჩემი დაქა შეგძლიათ... აქ ვლინდება ანტიგონის ძლიერი შინაგანი მაქსიმალიზმი, აქ, ამ სიტუაციაში სექტაქლოს არანობივი ეკლბინისცია, რომელიც ტრადიციის, ადამიანის სინდისთან უკველგვარ კონტრამისის წინააღმდეგაა მიმართული. ანტიგონე მომრავავს, იგი თითქმის მოითხოვს სიკვდილს, რადგანაც სული ეხუთვა სიბედბილი და სიცრვის გარემოცვაში, თითქმის სიკვდილმისკლი იგი სიძულვილითა და ზიზღით მიახლის გოგონებულ კრონტს — „ძალდებს ვაგზართ. ისინი ხომ უველაფერს ლოკვენ, რაც შეხვდებათ. თუ ძალიან მომიხიბლეთ არ იქნები შემიძლება ვინადალდ უკველდობიერ პაქაწინა ბედნიერება. არა, მე უველაფერი მინდა, თანაც ეხლავე... თუ არა და, დე, მოკვდე... ანტიგონე ეხსტაზშია, ამ დროს შემობრბის ისმენე, მან იმპროვა ანტიგონის სიმართლე და სძლია შიში, მასთან სურს იყოს, მასთან ერთად მოკვდეს, ანტიგონის სიმართლე იმარტვებს, მას აღარ ეშინიან სიკვდილითა. — „გვესის კრონტი! ეხე! ვინ იცის იქნებ ჩემს მავალით სხებამაც მიბამან... დაუბანე შენს ჩაფრებს... ანტიგონე პითიასავით წინასწარმეტყველებს, ხალხი მართლაც ახვდება სახალხის კვლდებს, წყველობს კრონტის უსამართლობას. ამას აუწყებენ კრონტის მისი მსახურები... ანტიგონე — კი, პატარა, წამებული ანტიგონე, ჩაფრებს სასიკვდილოდ მიპყვით, უქანასტენელი სიმი ამ ამაყი და გამირული ცხოვრებისა უსმეად წყდება...

სექტაქლოში არანაკლებ მნიშვნელოვანია ანტიგონის ანტიპოდის კრონტის სახე, ამ როლში ჩვენს სცენის სახელმწიფოებელი სტატუსი ს. ზაქარაძე ვიხილეთ და კმაყოფილების გრძნობით უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ახალ ნამუშევარში მან მონახა თავისთვის რაღაც ახალი და მნიშვნელოვანი, გამოაქროს თავისი ნიჭის მთავარი თვისება — ფაქიზი ფსიქოლოგიური ანალიზის უნარი. მსახიობმა ამ როლში უარი სიქვა გარკვეულ გამოხატვლობით საშუალებებზე, მისი თამაში დახვეწილი, ლაკონური და შინაგანად შეტრიალია. ს. ზაქარაძეს უყვარს მეტყველო დეტალები, ყოფის დაწკარბობით გადმოცემა, ამ მხრივ მისი ფანტაზია და უმრტირებელია, იგი ხანდახან გვაოცებს მიგნებულად ფერადების სიმდიდრით, მაგრამ კრონტის სახის გასახსენებლად მან სხვა გზა აირჩია, პირველადვე, როგორც — კი გამოავ იგი სცენაზე უარბიოდ, ჩვეულებრივ კოსტუმში გამოწყობილი, ჩვენ გვხვდეთ არა მსახიობი ზაქარაძის, არამედ მეფე კრონტის. ამას უმერტივებელი აღქმის ტრამე შინაგან გარდასახვის საშუალებით... ზაქარაძის კრონტი ოღნავ ყურადღება გავანდებოდა, იგი ცუდად უსმენს ჩაფარს, გრძნობთ, რომ რაღაც მნიშვნელოვან, სახელმწიფო საქმეებზე უქირობს,

უქირობს, მხოლოდ თანდათან უკვირდება ნალაპარაკების აზრს და რისხვას ეტებს შემთხვეულ ჩაფარს. კრონტი ჭერ ბავშვი სიბიფედს, მოუფიქრებლობას სივადეს ანტიგონის საქციელში, იგი ოღნავ წამორტყავს კვლევ თავის დისწულს, არასანამოვნოა, მაგრამ ამ საქმის ჩაქრობა შეიძლება, იგი უბრძანებს ანტიგონეს თავის ოთახში დაბრუნდეს და აქვე საქმეებზე იწყებს ფიქრს, მაგრამ ანტიგონე იქით ნებართვება, სვადე პოლიტიკის გვამი ბრალდებარსა, იმისათვის, რომ ფრჩხილებით, ბავშვის ძალით ოღნავ მინცე წაყარო მიწა ძმის ნეშოს — „ჩემი ძმა უნდა დავმარხო, ვალდებული ვარ... კრონტი-ზაქარაძე აღმოთებულაა ოილიპოსის ქალის სიამაყით, იგი უწყურბა მის, შემდეგ თითქმის ავიწყდება, რომ მართო არ არის და ხმა მალდა აგრძელებს ფიქრს — „მეფეს პირადე ტრავმებისათვის არა ცდალია, მას პატემოყვარობა არ აწუხებს, სურს მხოლოდ „ჩვეყანა გონივრულად მოაწყოს... კრონტი-ზაქარაძე თანდათან აწიშვლებს თავის სულს მტრუბუნებელი ანტიგონის წინაშე, კრონტი დილოლო მტორულად დაახსენებს გოგონას თავის ნათესაობას, სიყვარულს, რომლითაც ბავშვიბიდან ექცეოდა. მსახიობი სახსენებო გარდასახება, მისი აქტიორული თვისება „ჩაფრებს განსახიერებელი გმირის ტავში“ აქ შესანიშნავად ვლინდება. კრონტი-ზაქარაძე ხან ეკოლობა, ხან მკაცრი, იგი მეფეა, თან უბრბო, ადამიანურ სისხლებს ახვდებოდა, გულწრფელად სურს ვახსენებოს ანტიგონეს სიბიფედ, მოთმინებლად გამოსული დაავადების სკამს, ხელს მოუჭერს ანტიგონეს და თითქმის უყვირის მას, რომ იგი ხალხს უჩანებს, ამის უფლებდა კი იგი არ მისცემს...

ზაქარაძეს კრონტს თავისებურად უყვარს დისწული, იგი უველა დუნეს მიმართავს მის დადასარჩნად, ელაპარაკება თუ რა ბედნიერი იქნება ზემონთან, აწინებს სიკვდილით, მისი მსხვერპლის უზრბობით, რადგანაც მისი ორივე ძმა არაზღაღები იყვენ, ტატხსახათი ბრძოლაში ერთმანეთი დახოცეს და ერთმანეთია ისე დაახიზნეს, რომ მას არც-იკი ახსოვს რომელი იყო თეთლივ, რომელიც პატივით უნდა დაესაფლაკეებია, და რომელი პოლიტიკე, რომლის ლემო ძალდებს გადაუვდეს საქაქნად. კრონტის აზრით ამას არც აქვს მნიშვნელობა, მთავარია ხალხი დაშინოს, მორჩილი გახალდოს... მისი ცინიკური მსკელობა უშემაქმნელებელია ანტიგონისათვის, ანტიგონე ურყევად ადგას თავის და დაწუქვებლობას. ამ სიტუაციეს კრონტი წლუთი აღტაცებაშიც მოჰყავს — „რამდენი სიამაყეა შენში, პატარა ოილიპოსი... მაგრამ მეორე წლუთი ხელდებს უგარებს და შუადა „თმით ათიროს... კრონტი რწმუნდება, რომ ამ ხერხაც ვერ გასჭარა, მუუხარდ, თუჩაღლუენარი გამოუვლდება ანტიგონეს იმამი, რომ უკველიერრასაც იმუღებელი ჩადის „სამაგლობაა, მისი იყვე, სიბიფედი — კი“, მაგრამ აუცილებლობა, რადგანაც ხალხს, რომელსაც კრონტი დაცინივით „ნახიის“ უწოდებს, უნდა ისხუტოს ლემის მერალი სუნით, უნდა დამორჩილდეს, „უველაფერს ბოლოდნე ჩაწუნებს... ანტიგონე დაცინის კრონტს, დაცინის მის ზნობრივ კომპრომისებს და მთონ როდესაც უველა საშუალებაა ამოწურებოდა, კრონტი უზნობს ჩაფრებს, რათა მათ მოკველდნენ იგი. ზაქარაძის კრონტი ცინიკურია და სახარლოვ, მან მოქლა ანტიგონე, მაგრამ ამ სიკვდილმა გამოიწვია მისი შიშლის შემონახა და ცლილს სიკვდილმა. ის დაწმუნდა თავისი პოზიციის დამარცხებაში, ფინალში იგი მექაწყურად მოქმედებს, წამოსსქავას ჩვეულ სიტუაცებს, მძიმედ ეურდობა მსახურის სუსტ მხარს და მისი სცენიდან, მიღის განადგურებულში, აქ უკვე აღარ არის კრონტი — მეფე, ჩვენს წინაშე ადამიანია — უბედური და დამარცხებული.

ქემარაძედ, კრონტის როლი ს. ზაქარაძის შესანიშნავი ნამუშევარია, მსახიობმა შექმნა რთული ფსიქოლოგიური სახე, მთელი თავისი შინაგანი წინააღმდეგობით, ღრმად ემოციურად და მართლად.

ანისი მთელ თავისი შემოქმედებითი სიძულვილითა მყავს გამოყვანილი ცხოვრების ხორცმეტები, შემ-



„მთავრის მოვასება“ კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში

ამ რამდენიმე ხნის წინათ, კ. მარჯანიშვილის სახელობის ახდემლით აჯადღებულმა თეატრმა წარმოადგინა ქართული საბჭოთა პროზის ერთ-ერთი უბრწყინველესი ნიმუშის „მთავრის მოტაცებას“ ინსცენირება. სექტაჟმა მყურებელთა და თეატრალურ მოღვაწეთა დიდი ინტერესი გამოიწვია. იყო აზრთა სხვაობა, მაგრამ ყველა ერთსულვნად აღხადებდა, რომ „მთავრის მოტაცება“ სეზონის საინტერესო მოვლენაა.

სექტაჟისადმი ასეთი დაინტერესება იგრძნობოდა 23 სექტემბერსაც, როცა საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ მოაწყო დისკუსია „მთავრის მოტაცებაზე“. დისკუსია შესავალი სიტყვი გახსნა საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ, რესპუბლიკის სახანჯლო არტისტმა დ. ანათაძემ. მარჯანიშვილის თეატრში განხორციელებულ „მთავრის მოტაცებაზე“ მოხსენებით გამოვიდა თეატრალური კრიტიკოსი, პროფესორი დიმიტრი ჭანელიძე. მან თქვა: —სიტყვის საქვეყნო ცნობილი ოსტატის კონსტანტინე გამსახურდიას „მთავრის მოტაცების“ მარჯანიშვილის თეატრში წარმოდგენა ნამდვილ დღესასწაულად იქცა. მყოფრთხილ მოხმების და გაიტაცა მსატყურელო სიტყვის შემართებამ, სამკვიდრო სასიცოცხლოდ შეგა-

გუბებელი აღმინებები, რომელთაც არაფერი აღედგებთ, რომელნიც ცხოვრების გზიდან მიმხდარნი მხოლოდ მაძირობს ნეტენ. ასეთებია სექტაჟში ჩაფრები (მსახიობები — ბ. წიფურია, ს. ისნელი, ო. ზაუტაშვილი). მათ არავითარი რწმენა, არავითარი პრინციპი არ გააჩნიათ, მხოლოდ ცხოველური გრძნობებით ცხოვრობენ. ბანქოს თამაშობენ, ლოთობენ და გარყვნილობენ...

ჩაფრების როლებში შემსრულებელთა შორის არ შევჯიბობია არ გამოყოფილ უნა მსახიობ ბ. წიფურიას შესრულებით. ნიჭიერი მსახიობი არ როლს თამაშობს მსუფუფრებში, იგი თითქმის გროტესკის ზღვარზეა, ბ. წიფურიას მონახული აქვს მეტყველი ყოფილი დეტალები, რომლებიც თვალში გაცემათ ამ მუნქ და სასექტაჟებში.

ცოცხალი და ოღნავ მშრალია გ. ვაბუნიას ისმენე, როგორადც ერთფეროვანია ს. ლალიძის ჰემონი. რაც შეეხებათ ნ. მგალობლიშვილის (ეკრდიე) და ო. თეთრაძის (ბიძა) მათ ხავეში სიმართლითა განსახიერებს ეს ეპიზოდური სახეები.

სოფლად სსიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებს პიეტარ ურუგანი (თამაშ და თათარ კილაშვილი).

სექტაჟში „ანტიგონე“ კიდევ ერთხელ გამოიხილნა და მის თუნიანობის სრულად ფსიქოლოგიური დრამისობა, ღრმა აღმიაფური კონფლიქტებისობა, მან დაგვანახა რეჟისორის მსახიობთან მუშაობის თავისებური მანერა და, რაც მოავარია, ის მოქალაქეობრივი პოზიცია, რომელიც გაიარებულელია იმ დეიქებადი ცა; ლით, რომელიც იგრძნობა მის მიერ შემქმნელ სექტაჟში, ავტორის მიერ დახსული პრობლემის ღრმა გადაწყვეტი, წარმოდგენის იმ საერთო სულით, იმ გრძნობით, რომელმაც სინდისთან კომპრომისი ანტიგონეს სიყვლილი აარჩევინა, რომელმაც ბერძენი კომუნისტის ბელადისნისი მომღმირი მიხაკით ხელში შეახვედრა უკანასკნელ მზის ამოსვლას, რომელმაც უმაკალითი ბერძნა შთაავინა მანოლის გლეჯოსს და ყველა იმ ბერძენ პატრიოტს, რომლებმაც ანტიგონეს მსგავსად „არა“ უთხრეს შავი პოლიკონფიქტის ხროვანს და რომელთაც მიეძღვნა ეს საინტერესო სექტაჟი.

ხებულ ხასიათების სიმკვეთრემ, ცხოველურული მოვლენების ფართო წვლილმა, „მთავრის მოტაცების“ წარმოდგენა ახალი სამყაროს მშენებელი ხალხის ყოველისმდე დემონსტრაციად აღიქმება, რაც ნაწარმოების იდეური განხილვის სისწორებზე მეტყველებს. წარმოდგენა ისტორიულად ობიექტურია, იგრძნობა მეტაფორული და პოეტური აზროვნებისაკენ. პირობითისა და ყოფითის სინთეზისაკენ სწარავთა.

შემდეგ დ. ჭანელიძე წარმოადგინა მსახიობთა შესახებ. ქალთა სახეების შექმნას ამ წარმოდგენაში, ამბობს იგი, წინ უძღვის მერი დავითაშვილი, რომელიც მთავს როლს ასახიერებს. მის თამაშს აკომბ სიმარჯვი და ლოკია. მიუხედავად ამისა, მარნა თმბულა დამაყრებლად გამოკეთა ავსორი ქალის ხასიათი. დიდო ქვიზინაძე ხელამართულად მოქმედებს სცენაზე, დამახასიათებლობის ჩინებული ადლოთი, განცდის სიწრფელით და ხალხური იუმორით გამოირჩევა ნ. ჩხეიძის ტიფურია. ძაბულსა და ანული ფარჯანიანის როლებში საიმედოდ გამოიყურებიან ი. ვიგოშვილი და ლ. გუდამე. ხოლო ი. ჭიჭინაძეს, რომელიც თამარ შერვაშიძის როლში ვიხილეთ, ბევრი სწავლა და შრომისმართების, რომ მიალწობს გარდასახვის ოატატობას და სასცენო მეტყველებაში გაიწაფოს.

გ. კოსტავამ დუბოვავად ამხილა ხუცესის აკაკობა და ბორბტება, როლი მას სწორად აქვს გახორბული, სახე ტიპიურობის დონემდეა ასული.

კაც ზეამბიას განზოგადებულ, მონუმენტური, რომინტიული და მგზნებარ სახე შექმნა ი. ტრიბულსკიმ. მან ერთხელ კიდევ ცხადყო თუ რაოდენ შეუღებელია ქართული საბჭოთა აქტიორული სკოლისათვის რომინტიულობა. არზაყანის როლს მ. მეზრიშვილი ასრულებს. მისი გმირი ნებისყოფით აღსავსე, მიზანსწრაფული, დაბრკოლებათა გადამალახველი, შეურიგებელი და უშოშარია. მეტად საინტერესოდ ჩანს თარაშ ემხვარის ხასიათის რეჟისორული და აქტიორული გადაწყვეტა. მ. თავაძე თარაშს წარმოვედგინა, როგორც განიარაღებულს, ხალხის ნებას დამორჩილებულს.

ვ. ნინუაძე გვანჯ დავაძის სახე თავისებურად აავყო, გავრგნულად მისი გვანჯი წარმოსადეგი, ცხოვრებაში ნაკადე ვაკეკია. ამ გავრგნულ მხარეს უპირისპირდება გვანჯის ბუნების მამხილებელი ძალით განსხა.

შემდეგ დ. ჭანელიძე დადებითად აფასებს ი. ოსაძის (ლუკია), მ. ვაშაძის (მებოსტენ), დ. ქუთათელაძის (შემა), ბ. ინწორევის (ალმბიანა), დ. მკავანაძის (ჯოკია), ლ. ცხვარიაშვილის (ჯოტო), ბ. გოგენაგის (ბონდო), გ. გოციერელის (მხეშში), ვ. ასათიანის (ჩაღმაზი) და სხვათა თამაშს.

მომსენებლის კარგ შეფასებას აძლევს სექტაჟის მუსიკა (კომპოზიტორი თათარ თაქთაქიშვილი) და მხატვრობას (ამირ კავაბაძე).

მოსტენების შემდეგ დაიწყო კამათი. პირველი გამოდის რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი ბაბო შევლიძემ.

— ყოველი სექტაჟის ღირსება-ნაკლოვანება — ამბობს იგი — განიზომება იმით, თუ როგორი მყურე-

საქეპაკლი სიმართლესა და სიყვარულსა

ენიო ზვანაძისათვის

პასუხისმგებლობის დიდი გრძობით, მონღო-მთა და შეუნღლებელი ინტერესით ემზადებოდნენ ჩვენი რესპუბლიკის თეატრები მაქსიმ გორკის საიუბილეო დღეებისათვის.

ქართული თეატრის მოღვაწეებს ყოველთვის მიაჩნდათ და მიაჩნიათ, რომ გორკის უკვდავი სახეებისათვის საქადრისი სცენური სიკოცხლის შექმნა უდიდესი მნიშვნელობის ფაქტია. ადვილი გასაგებია, რომ ასეთ განწყობილებას აპრობებენ თვით გორკის დრამატურგიის იდეური და მხტვრავული ღირსებები — მებრძოლი სული, ცეცხლოვანი მოწოდება უსამართლობას, ძალადობის წინააღმდეგ და გმირების რომანტიკული შემართება.

გორკის დღეებთან დაკავშირებით ქართველმა ხალხმა რამდენიმე კარგი საქეპაკლი მიიღო. სცენაზე განზორციელებულ ნაწარმოებთა შორის მსაყურებლის განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა ქ. რუსთავის თეატრის წარმოდგენამ „ფესტრეზი“.

ჩვენი ეპოქის უდიდესი მწერლის ამ მეტად რთული პიესის ყურადღებით და დაკვირვებით წაკითხვამ რუსთავის თეატრის ნიჟერ კოლექტივს ხელი შეუწყო, რათა მსაყურებლის წინაშე შესანიშნავი აქტიორული ანსამბლი წარმოემდგარიყო.

სექტაკლში შემქმნელებმა და მონაწილეებმა ხორცი შეასხეს მთელ რიგ ახალ სცენურ მოთხოვნილებებსა და ხასიათებს, ზოგიერთი მათგანის ნამოღვაწერი (ახალგაზრდა მხატვრის თ. სუმბათაშვილის, მსახიობ თ. არჩვაძის) თავისი ნოვატორული არსით შევა (მე ეს მტკიცედ მჭერა) ქართული საბჭოთა თეატრის მიღწევათა საგანძურში.

სექტაკლში გამომვადენდა რეჟისორების (გ. ლორთქიფანიძე, ნ. გაჩავა) ნიჟერების მთელი თავისებურება, მათი შემოქმედებითი გაბეჭდულება, შესანიშნავი თვისება იპოვონ პიესაში ყველაზე უფრო არსებითი და ეს უჩანასქელი გადმოსცენ თავისი კოლორიტული დე-

ბელი ჰეავს მას. „მთვარია მოტაცების“ მიჰართ ჩვენს მსაყურებელს არ გამოუჩენია დიდი გულმზურავლება. კ. გამსახურდას ეს ნაწარმოები უდიდესი მხატვრული ღირებულების მქონე ქმნილებაა. მე, საერთოდ არა ვარ არაკვალი ინსცენირებათა მომხრე, ინსცენირება აჩრდილია პროზაული ნაწარმოებისა. ამტომაც „მთვარის მოტაცების“ მიმართ უფრო მეტი ყურადღება გვმართებდა. იგი ჩვეულებრივი პიესაა და არადიობა არ არის განსაკუთრებული, ხოლო, რაც შეეხება მსახიობებს, ინიჩი ძალაა ჰვანან ერთმანეთს. მე სცენაზე ვერ ვიხილე ვერც თაირი და ვერც თარაშ ემხვარი.

შემდეგ მ. მუქლიძე ლაპარაკობს სცენური მეტყველებითა შესახებ და აღნიშნავს, რომ ამ მოთხი ხანებში მსახიობების სცენური მეტყველება გაუარესდა. მსაყურებელს არ ესმის თუ რას ლაპარაკობენ სცენაზე.

სიტყვის იღებს დრამატურგი ვ. პატარია. იგი ამბობს — მართალი ვიხრათ, მე პირადად დიდი მტერი ვარ ინსცენირებისა, რადგან მჭერა, რომ იგი აფერხებს როგორც ეროვნული დრამატურგის, ისე თეატრის განვითარებას. მაგრამ, როცა საქმე მიდგება ასეთ დიდ ნაწარმოებზე, როგორცაა „მთვარის მოტაცება“ — უს უკვე სულ სხვა საქმეა. ჩვენ ვნახეთ კარგი სექტაკლი. ლეენს მირცხულავას სახით ქართულმა თეატრმა გამოავლინა მეტად კარგი მომავლის მქონე ახალგაზრდა რეჟისორი. ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ განვლილი თეატრალური სეზონის დასასრულს ვიხილეთ ერთიერთი საბჭოთა სექტაკლი. ჩემი სურვილია თეატრმა ამ სექტაკლით აიღოს გვირ თანამედროვეობის მსახველი დიდი ქვრივობის მქონე სექტაკლებისადგენ.

ან. წულუკიძე თავის გამოსვლას იწყებს იმით, რომ ეკამათება მ. მუქლიძეს. იგი არ ეთანხმება მ. მუქლიძის ზოგიერთ მოსაზრებას და ამბობს:

— „მთვარის მოტაცების“ ინსცენირება არ ჰეავს სხვა ინსცენირებებს, მართალია, მას აქვს რამდენიმე

ნაკლი, მაგრამ უფრო მეტი ღირსებები გააჩნია. გრ. კოსტავამ დიდი შრომა გასწია და ეცადა, რომ სცენაზე გადაეტანა რომანის ძირითადი კვანძები. ლეენს მირცხულავამ თავი დააღწია იმ დიდ სამიშროებას, რომელი წინაშე იდგა. იგი პასუხად როდი მიჰყვა რომანს, არამედ მოახერხა ნაწარმოების სცენური „თარგმანა“. რასაკვირველია, სექტაკალი არ არის ნაწარმოების ექვივალენტი, იგი ვერ გაუტლდება რომანს, მაგრამ ამის მოთხოვნაც არ შეიძლებოდა.

ტრიბუნაზე აღის მარჯანიშვილის სახელობის თეატრის გალიტერატურო ნაწილის გამეგ, თეატრმკოდნე ნ. გულრსანიძე, იგი ამბობს:

— ყოველი ხელოვნება დაფუძნებულია რომანზე. ასეთი ნაწარმოები მაშინ არის დიდი, როცა ამოთქმების ცხოვრებაში შემობრუნების პერიოდს ასახავს. ამ ნაწარმოებში არიან ორი ისტორიული სიმართლის მარჯნებელი ადამიანები და სწორედ ეს ორი ისტორიული სიმართლე ეჯახება ერთიმეორეს. ეს დიდი თემაა. ასეთი დიდი თემები თუ შექმნიან კუშმარტ თეატრალურ ხელოვნებას თორემ წვრილმანი თემები აქვეითებს თეატრს.

სიტყვის იღებს „მთვარის მოტაცების“ ავტორი მწერალი-პოეტიკოსი კ. გამსახურდა. იგი ლაპარაკობს მარჯანიშვილის თეატრის კოლექტივზე, რომელსაც ენერგია არ დაიშურა, რომ შეექმნა კარგი სექტაკალი. მწერალი მაღალ შეფასებას აძლევს გრ. კოსტავას ინსცენირებას, ლ. მირცხულავას რეჟისორულ გააზრებას, ი. თაქიაშვილის მუსიკას, ი. ტრიბოლსკის, მ. თბილელის, მ. დავითაშვილის, დ. ჰიჭინაძის, მ. თავაძის, გრ. კოსტავას, ივ. ოსიძის, მ. მებურიშვილისა, და სხვათა თამაშს.

განხილვაზე სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე მსახიობი მ. დავითაშვილი და კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, „მთვარის მოტაცების“ დამდგმელი რეჟისორი ლ. მირცხულავა.

ტალებით. რევოსორები სექტაკლში ნათელი სცენურის სახეობით უზრუნველენ, ქმნიან დასამახსოვრებელ დინამიკურ მახასიათებლებს, იძლევიან პეისის სანტერე-სო გახსნას და ყოველივე ამას რეალისტური ოსტატობით ათავსებენ ქუმარტ ნოვატორულ თეატრალურ ფორმაში.

სექტაკლის შემქმნელები არ ისახვდებიან მამინდელი ცხოვრების მყვირალა ტრაგიკული წინააღმდეგობათა ჩვენებით, არა, ისინი გაბედულად უსვამენ ხას გორკის ბუნტარულ აზრებს, და მაღალი პროფესიონალიზმით მოაკეთ მაყურებლებამდე.

გორკის რევოლუციური ჰუმანიზმი და ადამიანის უფლებებისა და მისი განთავისუფლების გარდღევალობის რწმენა სექტაკლის ლიტბრატეა. სახეთა რეალისტურად შექმნასთან ერთად თეატრმა წინ წამოაწია ის რომანტიკული სტიქია, რომელიც ზოგიერთ პერსონაჟს ახასიათებს. სექტაკლში პირველ რიგში ეს პეპელს აქვს მინიჭებული და არა სატინს, როგორც იგი სხვა, აქამდე არსებულ სექტაკლებში ხდებოდა.

რუსთავის თეატრი, ისევე როგორც გორკი, ორ მოტივზე აგებს თავის ნაწარმოებს. ერთია სოციალური თავისუფლება. ამ პრობლემის ირგვლივ პირდაპირია, თუ არა პირდაპირი მიმართულებით ბრუნავს სექტაკლის პერსონაჟთა დიდი უმრავლესობის ინტერესი და სწორედ ეს არის ბრალდება იმათ წინააღმდეგ ვინც თავისუფალი ადამიანი ცხოვრების ფსკირზე ჩადენა. ამ ბრალდებას აყენებს სატინი (ო. მეღვინეთუხუცესი). რომლის სიტყვები უზარმაზარი პროტესტით და სიძულვილის გრძობითაა აღსავსე მის ირგვლივ არსებული ცხოვრების მიმართ. მსახიობი სატინს, წარსულში განათლებულსა და კულტურულ ადამიანს, რომელიც ცხოვრებას ნაძირალად აქცია, ანიჭებს საოცარი
1952 წლიდან პავლე კანდელაკი ინიშნება საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილედ, ხოლო 1955 წლიდან დირექტორობს ჯერ რუსთაველის სახელობის, ხოლო შემდეგ (1957 წლიდან) გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრს. შემდეგ წლებში პ. კანდელაკი ინიშნება კინოფიციისა და კინოგაქირავების მთავარი სამმართველოს უფროსად, ხოლო 1962 წლიდან ე. მარსის სახელობის სახელმწიფო (საქარო) ბიბლიოთეკის დირექტორია. ხელოვნების სხვადასხვა ფრონტზე წამოღვაწერს, ერთი შეხედვით რესპუბლიკური ბიბლიოთეკის მუშაობაში აბა რა სიანსონი უნდა შეეტანა, მაგრამ ვინც პავლე კანდელაკის მოღვაწეობას ამ პერიოდს იცნობს, დამეთანხმება, რომ ამ წლებში ბიბლიოთეკამ რადიკალურად გააუმჯობესა მუშაობა, საგრძნობლად გააფართოვა მოქმედების სფერო — რესპუბლიკაში არ არსებობს არცერთი საქალაქო თუ სარაიონო ბიბლიოთეკა, რომლისთვისაც რესპუბლიკურ ბიბლიოთეკას მეთოდური დახმარება არ გაეწიოს. ამავე პერიოდში გამოჩნდა მთელი რიგი კავშილური ბიბლიოგრაფიული საძიებელი.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სწორედ პავლე კანდელაკის ინიციატივით იხილა შშს სინათლე ქართული გზეთმის ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის რამდენიმე ტომი.

ბევრის ოქმა შეიძლება მასზე, ძალიან ბევრის. მაგრამ ერთი ნათელია — პავლე კანდელაკმა ყველგან წარუშლელი კვალი, სიყვარული და პატივისცემა, შრომადმი სკოლისინდივიდის დამოკიდებულების ტრადიცია დასტოვა.

პავლე კანდელაკი ჩვენი დიდი პარტიის წევრი იყო. მას სწორად ირჩევდნენ როგორც საქალაქო საბჭოს, ისე რაიონული საბჭოს დეპუტატად. იგი რამდენჯერმე იყო არჩეული საქართველოს თეატრალური საზოგადოების, როგორც გამგეობის ისე პრეზიდიუმის წევრად. იგი იყო საქართველოს კ. თ. კ. კონიუნის რაიონული კომიტეტის წევრი. მთავრობამ დიდად დააფასა მისი დეწლი ქართული კულტურის სარბიელზე და იგი დააჯილდოვა შრომის წითელი დროშის ორი ორდენით, საპატიო ნიშნის ორდენით, მედლებითა და სიგელებით.

უდროოდ წავიდა ჩვენგან კეთილი და უნაგარო ადამიანი. წავიდა, მაგრამ სახელი მისი მარად მოიხსენიება ქართული კულტურის ამაღლართა შორის.

ბაიოზ იაპაშვილი

ქ ე თ ო ზ ა უ ა რ ი ძ ე

ქეთო ჩაფარიძე ბედნიერი ადამიანი იყო. ბედნიერი, რადგან მისი სიმღერა ხალხს სიხარულს ჰგვრიდა. ბედნიერი იყო, რადგან თავისი ცხოვრების ძვირფასი წლები გაატარა პოეტთან, რომლის ლექსებსაც ხალხი მღეროდა და რომელიც ამ სიმღერებზე უფრო უყვარა და ძველსა თუ ახალ თბილისს. მასზე თქვა პოეტმა.

ქეთო, აქ რომ არა მზეღებდა შენი თვალი, შენი თმები, არა ენანობ, შენს მიგვივრდებოდა შენს სენსიას ვერიოთებში ესეც შენებერ კეთილია, მაგრამ შენზე უფრო ნაზი, არ გაჯავრდეს: ეს შეველია, შენ კი მთა ხარ ბუმბუკარზე.

დაახ. ყოველი ქართველი ინტელიგენტის შემეცნებაში ერთმანეთისაგან განუყოფელია ქეთო ჩაფარიძე და იოსებ გრიშაშვილი. ეს ორი ადამიანი მთელი რიგი წლების განმავლობაში ერთგულად და მიოვლინებით ემსახურებოდა ქართული კულტურის წინსვლის საქმეს.

ქეთო ჩაფარიძე 67 წლისა წავიდა ჩვენგან, წავიდა ვაღმარადი ხალხისა და სამშობლოს წინაშე. იგი დაიბადა 1901 წელს ქვიშხეთში. სახლში, რომელშიაც ცხოვრობდა ცნობილი ქართველი მოღვაწე დიმიტრი ყვითანი. მისი ოჯახის წევრის სტუმრები იყვნენ გამოჩენილი ქართველი მწერლები და პოეტები. იგი აღიზარდა ისეთ გარემოში, რომ ბავშვობიდანვე შეუყვარდა ხელოვნება, ბავშვობიდანვე გახდა მისი ტრფალი. ამან დიდი როლი ითამაშა მომავალი მომღერლის სულიერ ფორმირებაში.

ყმაწვილი ქალი შედის თბილისის სათავადაზნაურო განმანათლებლობის განმანათლებლობაში. გიმნაზიაში ამ დროს სიმღერას ასწავლიდა შემდეგში ცნობილი კომპოზიტორი, ქართული მუსიკის კლასიკოსი ზაქარია ფალიაშვილი. ზაქარია ფალიაშვილთან სიახლოვემ ბევრი რამ შემატა ქეთო ჩაფარიძეს. თოთხმეტი წლისაც არ იყო ქეთო ჩაფარიძე, როცა ზ. ფალიაშვილმა მას ეთერის არაა შესარულებინა.

ქეთოს მუსიკალური ნიჭით მოიხიბლულმა ზაქარიამ ფალიაშვილმა თავიდანვე ურჩია მომავალ მომღერალ ქალს არ ჩაეკლა თავისი ვოკალური მონაცემები და ხელოვნებისათვის სამსახური აეგრძეა თავისი ცხოვრების მთავარ მიზნად.

ასეც მოხდა. 1919 წელს ქეთო ჩაფარიძემ დაამთავრა სათავადაზნაურო სასწავლებელი და სწორედ ზაქარია ფალიაშვილის დახმარებით შევიდა კონსერვატორიაში, საუკეთესო ვოკალისტის ლევიციას კლასში. ქეთო მალე სტოვებს ლევიციას კლასს და გადადის იტილიძის ახლადწამოსული სიმღერის პედაგოგ ანა ჩაყელთან. ანა ჩაყელის შემდეგ ქ. ჩაფარიძეს ხელმძღვანელობას უწევს ნ. გრიქუროვა. ბოლოს კი გადადის იტილიძე მომღერალ ვაგისთან.

წლები წლებს მისდევდა, ქეთო ჩაფარიძის ხმა თანდა-

თან იხვეწებოდა და პროფესიონალიზმს იძენდა, მაგრამ იგი მაინც ერიდებოდა სცენაზე გამოსვლას. მხოლოდ მისი უახლოესი მეგობრის ვერიკო ანჭაფარიძის დაუპყრებლმა თხოვნამ გადაადგმევინა ეს ნაბიჯი.

ქეთო ჩაფარიძის სასცენო მოღვაწეობა 1935 წელს დაიწყო. მას უსმენდნენ და ტაშს უკრავდნენ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში და საზღვარგარეთ. სადაც არ უნდა გამოჩენილიყო ეს მაღლიანი მომღერალი, ყველგან დიდი მოწონებითა და სიყვარულით სარგებლობდა.

1937 წელს ქეთო ჩაფარიძე გამოვიდა მოსკოვის რევოლუციის სახელობის თეატრში. წარმატება იმდენად დიდი იყო, რომ იგი მეორე დღევე ლენინგრადში მიიწვიეს.

ეს ჩასვლა რევოლუციის ქალაქში მეტად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ქეთო ჩაფარიძისათვის. მრავალი წელი გაატარა მომღერალმა ქალმა ლენინგრადში, იგი მღეროდა და თავისი სიმღერით მრავალათასიანი რუსი მსყურებლის სიმპათიებს იხვეჭდა, შორს გაჰქონდა ქართული ლექსისა და ჰანგის სახელი.

1939 წელს ქეთო ჩაფარიძე მიიწვიეს მოსკოვში ესტრადის მსახიობთა კონკურსში მონაწილეობის მიზნით. ქ. ჩაფარიძესთან ერთად კონკურსში ლენინგრადიდან მონაწილეობას იღებდნენ არაქაი რაიკინი და კლავდია შულციენკო. ქეთომ ამ კონკურსზე დაუწრებლად წაიბრუნა, მას მიენიჭა კონკურსის ლაურეატის წოდება.

განსაკუთრებით დიდია ქეთო ჩაფარიძის დამსახურება სამშობლოს წინაშე სამამულო ომის წლებში. ამ წლებში მომღერალს ნახავდით ყველგან, სადაც კი საჭირო იყო მისი ოპტიმისტური ხასიათისა და სიცოცხლის ძალის შთამაგონებელი სიმღერები. — ჰოსპიტლებში, დაჭრილ მებრძოლებთან, სამხედრო ნაწილებში, სავიწრო კარავებში, ფრონტის წინა ხაზზე, სანგრებში. ომის მძვირნაერ წლებში ქეთო ჩაფარიძემ გამართა ათასზე მეტი საშუალო კონცერტი.

საბჭოთა ხელოვნების განვითარების საქმეში შეტანილი წვლილისათვის 1958 წელს ქეთო ჩაფარიძეს მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება.

ვისაც ერთხელ მაინც მოუხსენია ქეთო ჩაფარიძის მიერ მაღალკონტაქტურად შესრულებული სიმღერები, ვერასოდეს დაივიწყებს მის ხავერდოვან ხმას. მას ჰქონდა შესანიშნავი დიქცია, გრძნობათა ფაქიზად გადმოცემის უნარი და იშვიათი სცენური მომხიბლობა.

იგი შემოქმედი იყო, შემოქმედი, რომლის დაკრძალვაც არ შეიძლება. მან სახელოვნოდ განვლო თავისი ცხოვრების გზა.

მარადიული იქნება ამ კეთილი შემოქმედის ხსოვნა.

გურამ ბატიაშვილი



თამაზ ანთაძე

ხალსინანად დაიწყო ახალი სასწავლო წელი.

კლავინდენტურად ამბაურდა შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის აუდიტორიები და სარეპერტიციო დარბაზში. სტუდენტები ახალგაზრდობა გატაცებით შეუღლა სწავლას. ახლახან ინსტიტუტის საიქტო დარბაზში შეტრიალ საინტერესო ტრადიციული ღონისძიების მოწმენი გახვდით: ეს იყო პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა შეხვედრა პირველკურსებელთთან. სცენაზე ავიდნენ დეკლამაციული ადამიანები — აკაკი ხორავა, ეთერ გუგუშვილი, დიმიტრი ჩანელიძე, ალექსანდრე მიქელაძე, ნადია შალუტაშვილი, ალექსანდრე კიკნაძე, შალვა გოგიძე და სხვები. მათთან ერთად სცენა დღემთათნ პირველკურსებელსაც — ქართველ, აფხაზ და დაღესტანელ ახალგაზრდებს. ისინი მღელვარებას ვერ ფარავდნენ, აღტაცებულ იყვნენ შეხვედრით. დარბაზში მოისმირდა მუსიკის ჰანგები.

საღამო განსა უფროსმა მასწავლებელმა შ. გოგიძემ, ტაშის გრილში ახალგაზრდებს სტუდენტების ბილეთები გადასცა ინსტიტუტის პრორექტორმა ე. გუგუშვილმა. მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ა. ხორავამ, პროფესორმა დ. ჩანელიძემ და ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ა. მიქელაძემ. მიხალსებით გამოვიდა აგრეთვე ფრიადოსანი სტუდენტი თ. კოშკაძე. პირველკურსებელმა ინსტიტუტის მთელ კოლექტივს აღუქმებს, იზრომონ და ისწავლონ ისე, რომ გაამართლონ ნდობა ღირსეულად დაიცვან სტუდენტის საპატიო სახელი.

როგორც საღამოზე შევიტყვეთ, ინსტიტუტში პირველ კურსზე ჩატრეცხვით ახალგაზრდა კუბიკები დაღესტანის ასსრ-დან. ეს თავისთავად შეტად საყურადღებო ფაქტია, რადგან ამჟამად მხანკალოს კუბიკების თეატრი პროფესიული კადრების სიმცირის განიციდის და ხუნძურ ენაზე მოლაპარაკე განათლებული ახალგაზრდები ფრად დაამშვენებენ მშობლიურ სცენას. ინსტიტუტის რექტორის, პროფესორ ი. თავაძის გაღმომცემით, ამით გარდა ხელოვნების ამ ტარბრში სამსახიობო ოსტატობას ეუფლებიან აგრეთვე ჩერქეზეთის ავტონომიური ოლქის წარმომადგენლები, რომლებსაც ახლა ერთი გგუფი დღეთმოთ. ახლახან გაიხსნა დამატებითი აფხაზური გგუფი.

ჭერ კიდევ არ დამსწალია შარშანდელი საყურსო და სადილობო ნამუშეურების შემოქმედებითი განსჯა და უკვე წინ მრავალი სიხალე ვეღს საყურსო წარმოდგენებზე იმუშავებენ. საინტერესო საქმიანობა მოვილით, სადილობო სექტალები ხომ განვლილი თხის წლის სტუდენტთა შრომის, შედაგოების ამაგის შეგამება იქნება. იმიამ შესახებ, თუ რას დაგვამენ შედაგოები წლევანდელ სასწავლო წელს, გვესაუბრა ინსტიტუტის პრორექტორი ე. გუგუშვილი. III კურსელებთან — გვითხრა მან — გორკის მუხის შეღვებს“ დადგამს შედაგოე ა. მიქელაძე, ამავე კურსელებისათფა გამიხნულია მ. კუპუხიძის მიერ დიქენსის დრამის („პრეიხა ღუმეზელი“) დადგმა. ა. კლდიაშვილის „დადიანის გასაჭირი“, იორენის ბედნი-

ერება“ და „უბედურება“ წარმოდგენილი იქნება შედაგოების ი. კაცულიასა და ე. ანდრონიკაშვილის ხელმძღვანელობით. IV კურსის ატუდენტები (შედაგოე ლ. მირცხულავა) მოამზადებენ ე. შვარციას „შეშეღე მეფეს“, ხოლო გ. სარჩიმიძედი დადგამს ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილს“.

ინტერესმოკლებული არ იქნება IV—V კურსის მუსიკალური კომედის განყოფილების სტუდენტთა ძალებით შემქმნილი ოპერეტა — კალმანის „მონმარტრის ია“, რომლის დადგმა რეჟისორ ე. სურმაგას მიანდეს. შედაგოე ნ. განაგა წარმოდგენს „რომმარია“-სა და „ოკლაჰომას“ ნაწყუტეტებს. შედაგოე ე. გუღუვანიშვილი დაღესტნულ სტუდენტებთან იმუშავებს სპეციალურად ამ გგუფისათვის დაწერილ ოპერეტაზე. გარდა სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული წარმოდგენებისა მრავალი აინტერესო ღონისძიებე მოეწყობა, რომელთაგან შესაძლოა წინასწარ დაგანახელოთ დიდი ქართველი პოეტისა და მოახოფენის მემოლოზ ბარათაშვილის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო. ეს იქნება პოეტის ებოქის შესაბამია სტილში — სალონის ფორმით წარმოდგენილი კომპოზიტორი მონახაზი, რომელსაც მხატვარი გ. ცერაძე აფორმებს, მუსიკის შერჩევა დაევალი ი. ბობოხიძეს, დადგმას უხელმძღვანელებენ პროფესორი მ. მრეველიშვილი და რეჟისორი მ. კუპუხიძე. მოხსენებას „ნ. ბარათაშვილი ქართულ თეატრში“ წაიკითხავს პროფესორი დ. ჩანელიძე.

მათრულ „ხილთა ქებას“ ალბათ არასოდეს დაავიწყდება შემოღლომის დღესასწაულისადმი მიძღვნილი იმპროვიზებული სანახაობის ეშხი და სურნელი. ახლა მზადება მიმდინარეობს ვიქტორობით, ეს ტრადიციული საღამოც თავისი შინაარსით მიზილავს მნახველს.

მრავალმხრივ საინტერესო მუშაობის ჩატრეცხვას გვეპირდება ინსტიტუტის მარტისომ-ღუნენიჩიშის კათედრასთან არსებული კაბინეტი, რომლის ხელმძღვანელია ენერგიული მუშაკი თ. ჩხიკვაძე. ახალ სასწავლო წელთან დაკავშირებით კაბინეტში განზრახულია საზოგადოებრივი მეცნიერებათა სფეროებში სამეცნიერო თემებზე კათედრის მიერ შემუშავებული გგუფებისა და ლიტერატურის გამოყენა და მათი პოპულარიზაცია, გამოფენების მოწყობა ინტეროულ-რეგვილიტური თარიღებთან, აგრეთვე პარტისია და მთაროებში მერსხვა მნიშვნელოვან ღონისძიებებთან დაკავშირებით.

ამას წინათ შეიკობა ატუდენტთა სამეცნიერო სამჭო, სადაც მიმდინარე სასწავლო წლისათვის შეიარა თემარტკა ცალკეული ფავურდელი სიხედვით, წლევამდელი სასწავლო წელი ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისთვის მზადებას ემობვევა და სენაზე ბელადისადმი მიძღვნილი თემები დიდი ადგილი ეთმობა.

მიმდინარე სასწავლო წელი კიდევ მრავალ სიყუთეს გვეპირდება. სასიხარულეო ის, რომ განზრახულია ინსტიტუტის შენობის გეფართობება, რაც ხელს შეუწყობს სასწავლო პროექსისა და სხვა ღონისძიებებითა უყუთესად წარმართვას.

ქართული თეატრის სეთავეებთან

ამასწინათ ჩვენმა მკითხველმა ერთი ძვირფასი საჩუქარი მიიღო — გამოვიდა პროფესორ დიმიტრი ჯანელიძის წიგნი „რუსთაველი და სახიობა“.

ფართო ეროვნობის თეატრალურ მეცნიერებასა და კრიტიკის დიდი შრომა გაუწევია, რათა საზოგადოებისათვის ნათელი გამხდარიყო ქართული თეატრის შორეული ფესვების სიძლიერე, მოეთხორო ძველი ქართული სახიობის შესახებ. წიგნი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში, („რუსთაველი-თეატრი-მეტოდენობით მივხან“) განხილულია „ვეფხისტყაოსანში“ აღწერილი სახიობა-სანახაობანი და ცალკეული სანახაობები ტერმინები, მეორე ნაწილში („თეატრი და სახიობა რუსთაველის ეპოქაში“), ავტორი „ვეფხისტყაოსანის“ და სხვა მხატვრული ძეგლების გამოყენებით ცდილობს წარმოგვიდგინოს რუსთაველის ეპოქის თეატრალურ-სანახაობრივი კულტურის სურათი.

წიგნის შესავალში მოკლედ მიმოხილულია ძველი ქართული თეატრის ისტორიოგრაფია, გარკვევით არის აღნიშნული კ. ცეკელიძის, ს. ყაუხჩიშვილის, ი. აბულაძის, შ. ამირანაშვილის, ს. იორდანიშვილის, ტ. რუხაძის შრომების მნიშვნელობა ძველი ქართული თეატრის ისტორიის დასადგენად. ამ შრომებმა, დ. ჯანელიძის შრომებთან ერთად, მტკიცე საფუძველი ჩაუყარა და მენცერულ ნიადაგზე დაფუძნა შესწავლა ძველი ქართული თეატრის, რომლის არსებობას უკვე მეთორმეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან კი აღარ ითვლიან, არამედ საქართველოში წინაშემოდებლური სახელმწიფოების არსებობის ხანადაც.

დ. ჯანელიძე ამ თავის შრომაში მიხნად ისახავს გვარკვიოს „ვეფხისტყაოსანში“ ასახული სანახაობრივი კულტურის რაობა და მისი მიმართება საქართველოს სიხამდილეოსთან.

წიგნის პირველ თავში ავტორი არკვევს ესთეტურ შეხედულებებს, რითაც შორეულ წარსულში ხელმძღვანელობდნენ სახალეებს (თეატრს), სახიობის მოვლენათა მეთოდებლად, ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ „საწეროდელ და სარგებელი“ გამაგვლოვნებელი მხნეობის შობამოგონებელი ხელოვნების ტრადიცია საუკუნეთა შამძილზე ინარჩუნებდა თავის ძალას და ცხოველმყოფელობას, პირველი ნაწილის მეორე თავში ამონილია მნათობთა სადიდებელი მისტერების კვლი „ვეფხისტყაოსანში“.

მესამე თავი ეძღვნება „ვეფხისტყაოსანში“ აღწერილ ძეგლობის სახიობას, რაც ნიღბოსანი მსახიობების დიდ სანახაობა-წარმოდგენებს მოიცავდა — „ყოველა არსად შემოსრული (შემსილი) მნარბული თამაშობდა“.

მეოთხე თავში დ. ჯანელიძე ნებმა რუსთაველის პოეტისა და სტროფს „მესამე ელქსი კარგია...“ სადეროდელ“ შემდგენარად განმარტავს: პოეზიის მესამე დარგი (კომედია, დრამატული პოეზია) კარგია სასკენედ (სასცენოდ) ან დრამატულ მსახიობთაგან შესასრულებლად (სამდეროდელ). რუსთაველის მოწმობით ქართული

დრამატული პოეზია ამ დროს შეიცავდა სატრფიალო, გამრთობი და სატირიკული ხასიათის ნაწარმოებებს. რუსთაველი მოიხიბვს დრამატული პოეზიისაგან ნათლად თქმის და ილაშქრებს დრამატული პოეზიის დაწვრილმების წინააზმდებ და მხარს უჭერს მონემენტურ დრამატულ ფორმებს.

ცალკე თავებად არის განხილული „ვეფხისტყაოსანში“ ასახული „ვარდ-ბელუღიანი“, შიში — „საქმე“ და გარკვეულია აჯაბთა მქნელოა მნიშვნელობა.

წიგნის მეორე ნაწილში „თეატრი და სახიობა რუსთაველის ეპოქაში“ დ. ჯანელიძე არკვევს რუსთაველის ეპოქის დრამატურული მწერლობის (ქებანის) რაობას, დრამატული პოეტის ბისტრის ვინაობას; წარმოგვიდგენს XII—XIII საუკუნეთა სახიობის ქრონიკას, განიხილავს „რუსთაველის“ მნიშვნელოვან ცნობებს სახიობის რეპერტუარისა და საშემსრულებლო ხელოვნებაზე. ნებმა ანტიკურის გამოძახილს და გვაცნობს საკულტურის ვარაუდს თამარ მეფის მთავრობის მეტურქულეთუბუტის ყუთლუ არსლანის ახალგაზრდობაში მსახიობობის შესახებ, განიხილავს ცნობებს და იკონოგრაფიულ მასალას პანტომიმის ხელოვნებასა და ცეკვაზე. ირკვევა, რომ რუსთაველის ეპოქაში დისტერესებული იყვნენ. იცნობდნენ და შეიძლება წარმოადგენდნენ კიდევ ანტიკური დრამატურის ნაწარმოებებს.

„ვეფხისტყაოსანისა“ და ლიტერატურულ-ისტორიული ცნობების შეკრებებით ავტორი ადგენს სანახაობრ წარმოდგენების წესსა და რგის, წარმოგვისსახავს თეატრალური განათლების მდგომარეობას.

წიგნში ყურადღება ექცევა სახიობის მოყვარულობას. განსაუთრებით საინტერესოა იმის დადგენა, რომ საქართულოში იბოდრომებთან ერთად არსებობდნენ საიმოდრომო პარტიები — წითლოსანთა და მწვანოსანთა კრებულები. ბიზანტიური და ქართული საიმოდრომო კრებულები ბეგირ რაშით ემსგავსებოდნენ ერთმანეთს, მაგომ ბეგრ რაშეში კი განსხვავებოდნენ კიდევ თვითყოლობით, რაც განპირობებული იყო ქვეყნის გეოგნომიური, პოლტიკური ვითარებისა და ცხოვრების თვისებებით.

ამ დროს საქართველოს თეატრალური ურთიერთობა ჰქონდა სხვა ქვეყნებთან. მოყვანილია აგრეთვე ცნობები საშუალო საუკუნეების საქართველოში სანახაობრივი შენობების შესახებ.

წიგნს დართული აქვს 35 შავად ნაბეჭდი სურათი. ეს ილუსტრაციები უმეტეს წილად ამოკრფილია XII საუკუნის ქართული დასურათებელი ხელნაწერებიდან და დიდად ამიღობდნენ ჩვენს წარმოდგენას რუსთაველის ეპოქის სანახაობრივ კულტურის შესახებ.

ყოველივე ეს დ. ჯანელიძის წიგნს მეტად მაღალმეცნიერულ მნიშვნელობას ანიჭებს. დ. ჯანელიძე ქართული მკვლევარის წარმოდგინა ჩვენი ხელოვნების წარსულის მეტად მნიშვნელოვანი ახალეები. ამიტომაც მას ფსდაუდებელი ღვწილი დასდო ქართული ხელოვნების. ეტობდ ქართული თეატრის ისტორიის შესწავლის საქმეს.

* დ. ჯანელიძე — „რუსთაველი და სახიობა“, 1967 წ. საქ. თეატრალური საზოგადოების გამოცემა, რედა. შ. ძიმიჯვარი.



„ჭადრაკს გამოიჯნურებენი“

მს წიგნი, რომელზედაც ახლა მე მინდა გესუტობ-
რობო, თეატრალურ თემის არ ცხება. შეიძლება ვთქვამ
კიდევ იფიქროს, რა შუაშია „თეატრალური მოამბე“
და ჭადრაკი. მაგრამ თუ ძალიან არ აჩქარდება, მო-
მინებას გამოიჩენს, დასკვნების გამოყვანას წინასწარ
არ შეუძლება და ამ პატივს წერილი ბოლომდე გაა-
იკითხავს. მიხვდება, რომ მას მცირედენი დრო უნა-
ყოფოდ არ წავართვით.

ჭადრაკი — ეს ისეთი „ქიანა“, რომელიც ყველას,
რა პროფესიისაც არ უნდა იყოს ადამიანი, შეუძლებს
ხოლმე გულში და ღრმად დაიბუღდეს. ჭადრაკი ძალიან
რთული სათამაშოა, მაგრამ, იმავე დროს მეტისმეტად
სახალისო... მიმზიდველი. ჭადრაკში ადამიანი (მე მხედ-
ველობაში არა მყავს პროფესიონალი) ისვენებს, ენერ-
გიასა და ხალისს იკრებს, გონების ქუჩნობებს ავარჯი-
შებს. იგი სპორტიც არის და ხელოვნებაც, ამიტომ იზი-
დავს ყველა პროფესიის ადამიანს — ჩვეულებრივ მე-
შასა და კლდეურენს, მასწავლებელსა და მოსწავლეს,
მეცნიერსა და ხელოვანს. რამდენი ბუღალტერი მინა-
ხავს, რომ თავისი საქმე დაიწყებდა, საღაობისთან
მხოლოდები შეგროვებდა, ის კი ისევე ჭადრაკის და-
ფას ჩაიკრიჭებებს და შუბლზე ოფლი გადასდის, ეე-
ჭილს პროცესს გამოიჩენს და იმის გამო, რომ დაე-
ვილი დროზე არ გამოცხადებულა, საქმის გარჩევა გა-
დაუდგიათ, მე ვიციან ჭადრაკზე თავდაიწყებით შეე-
კარებულ ერთ ასეთ ვეიქსს. მას რომ თვითდასვე სა-
კუთარი პროფესიისადმი ისეთი ათვლით და გულ-
მოდებინება გამოიჩინა, როგორსაც ჭადრაკისადმი იჩენს,
გაცილებით მეტ სახელს მოიხვეჭდა. მაგრამ ჭადრაკი
მისთვის სულ სხვა ღმერთია. ამ „ღმერთთან“ საუბარს
თუ გინდ დღესა და ღამეს გადაბმულად შესწირავს მე-
ორე თავისთან პარტნიორი რომ შეხედვს.

არ იფიქრობო, რომ ჭადრაკი იმისგან ხელს უშლიდეს,
დროს და ენერგიას უნაყოფოდ აფლანგებინებდეს, არა!
მხოლოდ საქირაა ჭადრაკი სიამოვნებისათვის, დასკუ-
ნებისათვის, დაკარგული ენერჯის აღდგენისათვის გა-
მოიყენო. უღროდ, წარამარა არ ჩაებათ კიდეში,
ახარება არ შეიკავოთ. დროის უკარწმოდლობა და
ზომირების დაკარგვა ყველა საქმეში საზიანოა, ლო-
თობა დასაკამობია!

მე ვიციან ბევრ მწერალს, ხელოვანს, მეცნიერს,
რომლებიც ჭადრაკით ისვენებენ და სიამოვნებენ.
უფრო მეტიც, — ენერჯიასა და ხალისს ინახლებენ. შან-
რომ მაგიადსთან შრომით დაიღობიან, ფიზიკურად
და გონებრივად სხვა „საქმეზე“ უნდა გადაინაცვლონ.
საქმიანობის ასეთი შენაცვლება მხოლოდ დასვენებას
იწვევს... სტრუქტურს წერტილს დაუსკამენ, ადგებიან და
პარტნიორის ძებნას შეუდგებიან. თითქმის ტრინის სხვა
უკრებები ამოძრავდნენ და წინადადებებს შეენაცვლ-
ნენო, სიტყვასთან კიდელისათვის ახალ ძალებს იკ-
რებს.

ჭადრაკი ძალიან გაერყელებულია თეატრშიც. მსა-
ხიობებისა და რეჟისორებისათვის ის ძირითადი გასარ-

თობია... მაგრამ როდესაც ჭადრაკით გართობაზე ვლა-
პარაკობთ, ეს უბრალო ვაღიბა როდია, ის, იმავე
დროს, გონებრივი ვარჯიშიც არის და ინტელექტის შე-
მოწყობაც! იგი ამჟღავნებს პიროვნების ადამიანურ ბე-
ნებასაც და გონებრივ პიროვნობასაც. ამდენად, იმის
თქმაც შეიძლება, რომ ჭადრაკი შემოქმედის შინაარ-
სიანი ცხოვრების ნაწილია.

ეს საუბარი თეგვი გიორგაძის შრომამ გამოიწვია,
მისი მშვენიერი წიგნი „ჭადრაკს გამოიჯნურებენი“;
რომელიც გულმოდგინე კვლევებიების ნაყოფია. შე-
სანიშნავი საჩუქარია ჩვენი მკითხველისათვის. იგი პო-
პულარულად არის დაწერილი. მაგრამ ღრმა მეცნიერე-
ლი მნიშვნელობაც აქვს, რადგან ჩვენი მეცნიერების,
ლიტერატურისა და თეატრის მოღვაწეთა ცხოვრებას
უცნობ მხარეებს გაეცნობს და ამით მათს ბიოგრა-
ფიას ავსებებს.

ძალიან გონებასმიჯილურად არის მიგნებული წიგ-
ნის სათაური „ჭადრაკს გამოიჯნურებენი“. ე. ი. აქ
იგულისხმებიან არა პროფესიონალები, არამედ ის
სხვადასხვა დარგის მოღვაწენი, რომელთა ცხოვრება-
შიც „გარკვეული ადგილი ეკავა ჭადრაკს, და ამ
ბრძოლულ თამაშს გონიერული დასვენების შესანიშნავ
საშუალებად თვლიდნენ და დიდი ხალისით უთმობდნენ
თავისუფალ დროს“.

თეგვი გიორგაძე პროფესიული მოჭადრაკე და
ცნობილი ჟურნალისტი. იგი ჭადრაკზე წერს კვიანურ-
რად და მიმზიდველად. გატაცებით. შთაგონებულად.
ამიტომ არის, რომ სავანი, რომელზეც წერს, არა მხო-
ლოდ დავაინტერესებთ, შეგვიყარებდნენ კიდევ.

ამ წიგნში გვეცნობით დიდი ადამიანების — ილია-
სა და აკაკის, ვანო მახაბლისა და კოტე მარჯანიშვილის,
ნიკო ნიკოლაძისა და დავით კლიაშვილის, გალაკტიონ
ტაბაძისა და იოსებ გრიშაშვილის, შალვა დადიანისა
და დეო ჭიანჭლის, აკაკი შინისა და გიორგი ახვლე-
დიანის და სხვათა ცხოვრების ახალ შტრიხებს. აი, გა-
დაძლილი წიგნისა და თქვენი მზერას მიიპყრობს სურა-
თი — პიერ კობახიძე და იაკობ ტრიპოლსკი „უბრეულ
აკოსტას“ ანტრაქტის დროს ჭადრაკს თამაშობდნენ. ეს
უბრალოდ სურათი დიდ მნიშვნელობასაც იძენს და შე-
იძლება თეატრალური მკვლევარისათვის მასობის
ფსიქოლოგის. მისი შემოქმედების თავისებურების
შესწავლის ერთ-ერთ დოკუმენტადაც გამოადგის.

თეგვი გიორგაძემ ამ წიგნით ძალიან კარგ წამო-
წყებას ჩაუყარა საფუძველი. თუ იგი ამ ხაზით თავის
მუშაობას უფრო გააღრმავებს დიდ სასარგებლო საქმეს
გააყვებებს. იგი, ერთის მხრივ, გამაძლიერებს ჩვენი
მოღვაწეების ბიოგრაფიას, მეორეს მხრივ კი, ახალაზ-
რდა მკითხველებს ჭადრაკის სიყვარულთ გაუთბობას
გულს და ამ დიდებულ სპორტს-ხელოვნებას ახალ მი-
ღებრებს გაუჩენს.

მამიძე ჯარულიძე

შ ი ნ ა ა რ ს ი

| | |
|--|---|
| ვასალ კენაძე — ახალი თეატრალური წელი | 3 |
| მონარდ შაყურბეღლა თეატრებში | 3 |
| დიმიტრი ჭანელიძე — ნიკოლოზ ბარათაშვილი და თეატრი | 6 |
| საიუბილეო კონკურსის შედეგები | 8 |

რესპუბლიკის თეატრალური აღიშასთან

| | |
|--|----|
| ნადია შალუტაშვილი — „ანტიგონე“ შ. რუსთაველის სახელობის თეატრში | 9 |
| „მთვარის მოტაცება“ კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში | 11 |
| ნინო შვანგირაძე — აბექტაკლი სიმართლესა და სიყვარულზე | 12 |
| თეატრის იუბილე | 13 |
| სერგო ცაგარეიშვილი — თბილისის თოჭინების თეატრი | 14 |
| ნათელა სვანიშვილი — „აპრაკსენე ჭიშკიშვილი“ თელავის თეატრის სცენაზე | 16 |

40 წლის წინათ

| | |
|---|----|
| დოდო ანთაძე — ასე დავიწყეთ | 18 |
| გოგუცა კუპრაშვილი — სასიხარულო თარიღი | 19 |

ღვაწლმოსილთა გახსენება

| | |
|---|----|
| ვლადიმერ ზამბახიძე — ბაირახტარი მაღალი აზრებისა | 20 |
| დავით ჩხეიძე — უანგარო მოღვაწე | 22 |

გულანდილი საუბარი

| | |
|---|----|
| გუგა ნახუცრიშვილი — ნუთუ მართლა ასეა?! | 24 |
| ქუკური გოგიაშვილი — მწვანე თეატრი | 25 |
| ქეთევან ხუციშვილი — მარჯანიშვილის სახლ-მუზეუმი ყვარელში | 26 |

გამოთხოვება

| | |
|---|----|
| გაიოზ იაკაშვილი — პავლე კანდელაკი | 28 |
| გურამ ბათიაშვილი — ქეთო ჭაფარიძე | 29 |
| თამაზ ანთაძე — თეატრალური კადრების სამკედლოში | 30 |

თეატრალური წიგნის თარო

| | |
|---|----|
| თინა ტაბიძე — ქართული თეატრის სათავეებთან | 31 |
| ერემია ქარელიშვილი — „ჭადრაკს გამიჯნურებულნი“ | 32 |



СО Д Е Р Ж А Н И Е

| | |
|--|---|
| Василий Гикнадзе — Новый театральный год | 3 |
| Тбилисские театры юного зрителя | 5 |
| Дмитрий Джанелидзе — Николоз Бараташвили и театр | 6 |
| Итоги юбилейного конкурса | 8 |

У театральной афиши республики

| | |
|--|----|
| Надежда Шалуташвили — «Антигона» в театре им. Ш. Руставели | 8 |
| «Похищение луны» (спектакль театра им. К. Марджанишвили) | 11 |
| Нино Швангирадзе — Спектакль о правде и любви | 12 |
| Юбилей театра | 13 |
| Серго Цагарейшвили — Тбилисский грузинский кукольный театр | 14 |
| Натела Сванишвили — «Апракуне чимчмели» на сцене Телавского театра | 16 |

40 лет тому назад

| | |
|--|----|
| Додо Антадзе — Так мы начинали | 18 |
| Гогуца Кунрашвили — Радостная дата | 19 |

Вспомним заслуженных

| | |
|---|----|
| Владимир Замбахидзе — Знаменосец высоких мыслей | 20 |
| Давид Чхеидзе — Бескорыстный деятель | 22 |

Откровенный разговор

| | |
|--|----|
| Туга Пахуцришвили — Неужели это так? | 24 |
|--|----|

Прощание

| | |
|--|----|
| Кукури Гогнашвили — Зеленый театр, басня | 25 |
| Кетеван Хуцишвили — Дом-музей К. Марджанишвили в Кварели | 26 |
| Гайоз Якашвили — Павел Каиделаки | 28 |
| Гурам Батишвили — Кето Джанашидзе | 29 |
| Тамаз Антадзе — В кузнице Театральных кадров | 30 |

Театральная книжная полка

| | |
|---|----|
| Тина Табидзе — У истоков грузинского театра | 31 |
| Еремия Карелишвили — Влюбленные в шахматы | 32 |



Т О Г
В Е С Т Н И К
ТЕАТРАЛЬНОГО ОБЩЕСТВА ГРУЗИИ

(на грузинском языке)

Тбилиси--1968

№ 3 (45)

ფასი 18 კპ.
Цена 18 კოპ.

გადაეცა წარმოებას 16/X 1968 წ.

ზელმოწერილია დასაბეჭდად 13/XI 1968 წ.

ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 2,5

*შ. 3598

უე 11750

ტ. 350

საქართველოს თეატრალური საზ.-ბის სტამბა. თბილისი, გორკის ქ. № 3
Типография Театрального Общества Грузии. Тбилиси, ул. Горького № 3